# სარბიელი

სპორტული გაზეთი ხუთშაბათი 7 აპრილი 2005 №76 (2399) ფასი 50 თეთრი




## ფინალამდე ნახევარი ნაბიჯია

ლოკომოტივი 2:0 ვიტ ჯორჯია

თბილისი 0:0 ზესტაფონი

4



## კვირას სუპერკლასიკოა

ინტერვიუ ივან ელგერასთან

9



## ყველაზე სპორტული პაპი

სპორტული გატაცებები

15

# მასპინძელსა მხიარულსა

## ჩელსის კარი უჭრიალებს



# ქართველთა მეგობარი ჯონსი ჯენკინსისას შეუტევს

## „კლერმონ-ოვერნის" კარგი თამაში მის ფეხზეც ჰკიდია




გაიოზ თალაკვაძე

კლერმონ-ფერანიდან საგანგებოდ „სარბიელისთვის"


*კლერმონ-ფერანის ცენტრში ერთ რაგბზე შეყვარებულ კაცს მშვენიერი კაფე აქვს „ლე საფრანი" და სტივენ ჯონსსაც სწორედ იქ შევხვდი სარაგბო გარემოში. თავზე „კლერმონ-ოვერნის" გასული სეზონის მორაგბეების შარფები დაგვყურებდა, რომელთა შორის დავით აშვეთიას და ლეონსიოს მოედნის მსგავსად მოწინავე ადგილები ეკავათ, მაგიდას კი ჩვენთან ერთად გოდო შველიძე, სამხრეთაფრიკელი შერკინების მეორეხაზელი ჰ ოტი ლოუ და ფიზიკური მომზადების სპეციალისტი პიტერ ჰარდინგი უსხდნენ.*

მე-14 გვერდი



# ჩემპიონთა ლიგა 2004-2005. მეოთხედფინალი. პირველი მატჩები

მილანი. „სან სირო". 80 000 მაყურებელი

## მილანი 2:0 ინტერი

1:0 სტამი (45), 2:0 შევჩენკო (74)

დიდა, კაფუ (კოსტაკურტა 90), ნესტა (კალაძე 71), სტამი, მალდინი, გატუზო, პირლო, ზეედორფი, კაკა, შევჩენკო, კრესპო (ამბროზინი 84)
მწვრთნელი: კარლო ანჩელოტი

ტოლდო, ხ. ძანეტი, კორდობა, მიხაილოვიჩი, ფავალი, ვერონი (კარაგუნისი 70), კ. ძანეტი (ვან დერ მეიდე 81), კამბიასო, სტანკოვიჩი, კრუზი (ვიერი 55), მარტინსი
მწვრთნელი: რობერტო მანჩინი

გაფრთხილება: გატუზო, სტამი, მიხაილოვიჩი, შევჩენკო, კ. ძანეტი
მსაჯი: ალან სარსი (საფრანგეთი)




**მილანის** „ინტერმა", როგორც სტატისტიკა გვამცნობს, ბოლო 46 თამაშიდან მხოლოდ ორი წააგო. თავისთავად ბრწყინვალე შედეგია, მაგრამ ის ორი თამაში „ინტერმა" „მილანთან" წააგო, ჯერ 27 თებერვალს სერია A-ს ტურში, მეორე კი გუშინ, ჩემპიონთა ლიგაში. ხოლო რასაც ნიშნავს „ინტერის" გულშემატკივრებისთვის „მილანთან" დამარცხება, თანაც ასეთ უმნიშვნელოვანეს მატჩში, სტატისტიკა ამას ვერ ასახავს.

დასრულებული თამაშის მერე ხშირად ამბობენ, აი, ამა და ამ ფეხბურთელს ის მომენტი რომ გამოეყენებინა, მერე ვნახავდით, ვინც მოიგებდაო. მომენტები, რომლებზეც ასეთი რამის თქმა შეიძლება, მიხაილოვიჩს, ვერონს და კრუზს პირველ ტაიმში სამი ჰქონდათ და რომ არა დიდას ჩაუქობა, შესაძლოა, ყველაფერი მართლაც საპირისპიროდ შებრუნებულიყო. მეორე მხრივ კი, ვერგატანილ გოლებზე ლაპარაკის მაგიერ, სჯობს, გატანილზე ვილაპარაკოთ.

45-ე წუთზე ინტერელმა მიხაილოვიჩმა კუთხური ჩააწოდა, ოქმით მასპინძლებმა ბურთი საჯარიმოდან გამოიტანეს და შეტევაზე გადავიდნენ. ამ დროს მეოთხე მსაჯმა „სან სიროზე" შეკრებილთ ამცნო, რომ ტაიმს მხოლოდ ერთ წუთს ამატებდა. პირველი გოლიც სწორედ ამ წამატებულ წუთზე გავიდა. ხულიო კრუზმა საჯარიმოს სიახლოვეს ანდრეა პირლო წააქცია. ჯარიმის დარტყმა პირლომვე ითავა და იაპ სტამისკენ ჩააწოდა. სტამმა კი კორდობას აჯობა და ექვსიოდ მეტრიდან თავით გაიტანა.

სამართლიანობისთვის კი დავძინოთ, რომ მთელი ტაიმის განმავლობაში ამ საგოლე ეპიზოდის გარდა „მილანს" არც ერთი ნაღდი მომენტი არ შეუქმნია. 34-ე წუთზე კი უსიამოვნო ამბავიც შეემთხვა — ჯენარო გატუზომ ხელით თამაშისთვის გაფრთხილება მიიღო, ლიმიტი ამოწურა და საპასუხო მატჩს გამოტოვებს.

მეორე ტაიმის ამბებიდან რამდენიმე გამოვარჩიოთ: 71-ე წუთზე ალესანდრო ნესტა, რომელმაც ფეხი აიტკივა, კახა კალაძემ შეცვალა, სამ წუთში კი „მილანმა" მეორე გოლიც გაიტანა. ანდრეი შევჩენკოს მიმართ ინტერელებმა ყურადღება მოადუნეს და უკრაინელმაც ახლო მანძილიდან ასევე თავით შეაგდო. ეს მისი მეოთხე გოლი იყო ამ სეზონის ჩემპიონთა ლიგაში და ისიც გავიხსენოთ, რომ ტრავმის გამო შევჩენკოს 19 თებერვლის მერე არ უთამაშია და მოედანზე დაბრუნებისთანავე აგრერიგ მნიშვნელოვანი გოლი გაიტანა.

„ინტერის" გულშემატკივრებს კი კიდევ ერთი ვერგატანილი გოლზე შეუძლიათ დაიჩივლონ — 87-ე წუთზე გიორგიოს კარაგუნისმა ბურთი ძელს გაარტყა.

დარჩენილ წუთებში, „მილანი" მეტოქის იერიშებს იგერიებდა და მსაჯის საფინალო სასტვენს ელოდა.

ლონდონი. „სტემფორდ ბრიჯი". 40 253 მაყურებელი

## ჩელსი 4:2 ბაიერნი

1:0 კოული (4), 1:1 შვაინსტაიგერი (52), 2:1, 3:1 ლამპარდი (60, 70), 4:1 დროგბა (81), 4:2 ბალაკი (90)

ჩეხი, ჯონსონი (ჰუთი 65), რ. კარვალიუ, ტერი, გალასი, ჯ. კოული (ტიაგუ 82), მაკელელე, ლამპარდი, დაფი, დროგბა (ფორსელი 90), გუდიონსენი
მწვრთნელი: ჟოზე მაურინიუ

კანი, სანიოლი, ლუსიო, კოვაჩი, ლიზარაზუ, ჰარგრივსი, ფრინგსი, ზე რობერტო (შოლი 73), ბალაკი, სალიჰამიჯიჩი (შვაინსტაიგერი 46), გერერო
მწვრთნელი: ფელიქს მაგათი

გაფრთხილება: დროგბა, კარვალიუ, ფრინგსი, გალასი, მაკელელე, შვაინსტაიგერი
მსაჯი: რენე ტემინკი (ჰოლანდია)




**დავიწყოთ** დასასრულით: წამატებულ წუთებზე ლონდონელთა საჯარიმოში ხოსე პაულო გერერო წაიქცა. ხოლო ჰოლანდიელმა მსაჯმა, რენე ტემინკმა ეპიზოდი ისე აღიქვა, თითქოს მოუნიჩნელთა თავდამსხმელი მასპინძელი გუნდის მცველს, რიკარდუ კარვალიუს წააქციოს და პენალტი დანიშნა. თერთმეტი მეტრიდან მიხაელ ბალაკმა დაარტყა მიზანში და ბავარიელებს ნახევარფინალში გასვლისთვის ბრძოლა გაცილებით აზრიანი გაუხადა, ვიდრე 4:1-ის შემთხვევაში იქნებოდა.

მანამდე კი, მეორე ტაიმის მსვლელობისას, „ჩელსიმ" წარუშლელი შთაბეჭდილება მოახდინა — გარდა იმისა, რომ სამი გოლი გაიტანა, ითამაშა სწრაფი, უაღრესად დახვეწილი, კომბინაციური ფეხბურთი და დატოვა იმის შეგრძნება (ნამდვილი თუ მოჩვენებითი, გამოჩნდება), რომ თუ ასე თამაშს დროის უფრო ხანგრძლივ მონაკვეთებშიც შეძლებს, მისი მომგები გუნდი ევროპაში არ მოიძებნება.

შევახსენებთ აგრეთვე, რომ ამ შეხვედრას ვერც ჩვეული ადგილიდან და ვერც ტრიბუნიდან ვერ ადევნებდა თვალს ლონდონელთა თავკაცი, პორტუგალიელი ჟოზე მაურინიუ, რომელიც, როგორც ჩანს, ტელეფონით უკავშირდებოდა სათადარიგოთა სკამზე მჯდომ თანაშემწეებს

„ჩელსის" აკლდნენ არიენ რობენი, პაულუ ფერეირა, უეინ ბრიჯი და დისკვალიფიცირებული მატეა კეჟმანი, ხოლო „ბაიერნს" არ ჰყავდა თავდამსხმელები, როი მაკაი და კლაუდიო პიზარო.

„ჩელსიმ" ანგარიში მე-4 წუთზევე გახსნა, რის გამოც, ალბათ, ფორტუნასაც უნდა უთხრას დიდი მადლობა — ამ გოლში მთავარი როლი რიკოშეტმა ითამაშა, ჯო კოულის დარტყმული ლუსიოს ფეხმა აისხლიტა და მეკარე ოლივერ კანი უმწეოდ დატოვა.

ანგარიში 52-ე წუთზე შეცვლაზე შესულმა ბასტიან შვაინსტაიგერმა გაათანაბრა, მაგრამ ამას დიდებული ფრენკ ლამპარდის ორი და დიდიე დროგბას ერთი გოლი მოჰყვა.

მატჩის ბოლო წამებზე კი თავში მოგახსენეთ.

### ინგლისი

ჩემპიონატი
XLI ტური
ქოვენთრი 2:0 ნოტინგემი
მეორე ლიგა
გადადებული
მატჩი
ოქსფორდი 1:1 მაკლსფილდი

### დანია

სუპერლიგა
XXI ტური
სილკებორგი 3:0 ჰერფიოლგე
თასის
ნახევარფინალი
ბრონდბიუ 1:0 კოპენჰაგენი
ჰორსენსი 0:4 მიდტიულანდი

### გერმანია

მეორე ბუნდესლიგა
გადადებული
მატჩები
კარლსრუე 3:0 ობერჰაუზენი
ერფურტი 2:0 უნტერჰახინგი
ფიურტი 1:1 ბურგჰაუზენი
სამხრეთ
რეგიონალლიგა
გადადებული მატჩები
შტუტგარტი (მ) 3:2 მაინცი (მ)
აალენი 1:0 პფულენდორფი

### ბელგია

თასის ნახევარფინალი
პირველი მატჩი
ლუვიე 2:3 ბრიუგე

### შვეიცარია

სუპერლიგა
გადადებული მატჩები
შაფჰაუზენი 0:1 იანგ ბოისი
აარაუ 2:3 ციურიხი
გრასჰოპერი 4:0 სენტ გალენი
ჩელენჯლიგა
გადადებული
მატჩები
ლუცერნი 1:1 კრინსი
ბადენი 2:3 კიასო
ივერდონი 0:3 ვილი

### ჩეხეთი

გამბრინუს ლიგა
გადადებული მატჩი
დრნოვიცე 2:0 ტეპლიცე

### იტალია

სერია
C1/A
XXXI ტური
კომო 0:0 პავია
კრემონეზე 3:0 ნოვარა
გროსეტო 1:2 აკირეალე
ლუმეცანე 0:0 ს. ტორესი
პიზა 1:2 ლუკეზე
პისტოიეზე 4:1 ფ. ანდრია
სანჯოვანეზე 0:0 სპეცია
ვიტორია 2:0 ფროზინონე
სერია
C1/B
გადადებული მატჩი
პეზარო 1:2 რიმინი

### რუსეთი

თასის მეოთხედფინალი
პირველი მატჩები
ამკარი 1:0 კრილია
ხიმკი 1:1 ტორპედო
ზენიტი 4:0 შინიკი

### ავსტრია

მაქსბუნდესლიგა
გადადებული მატჩები
ბრეგენცი 0:2 რაპიდი
ადმირა 0:2 პაშინგი

### საბერძნეთი

თასის მეოთხედფინალი
საპასუხო მატჩი
არისი — ქსანთი გადაიდო



# ალექსანდრე იაშვილი: ორივე თამაში ორმა წუთმა წააგო

## ფრაიბურგში ტაშს ვიღებ, საქართველოში ბოთლებს

*მარტის მინურულმა ერთი ხელის მოსმით დაამსხვრია საქართველოს ნაკრების მუნდიალზე გასვლის იმედები. აქ მარტო წაგებებს არ ვგულისხმობთ, ალენ ჟირესის გუნდმა ვერ აჩვენა ის თამაში, რაც სამომავლო პერსპექტივებს დახატავდა. ჩვენი „განთქმული" გულშემატკივრობის ამბავი ხომ ცალკე თემაა.*

*სანაკრებოს გარდა, ალექსანდრე იაშვილს საკლუბო საქმეც უკუღმა მისდის. მის „ფრაიბურგს" ბუნდესლიგაში ცხვარი აქვს ფეხზე გამობმული. „ფრაის" 9 ნომერმა თურქებთან კი შეაგდო გოლი, მაგრამ გერმანიაში რა ხანია, აღარ გაუტანია.*

*იაშვილს გუშინ შევეხმიანეთ და ჯერ ფრაიბურგული ამბებით დავიწყეთ, მერე კი...*

— გავარდნას უკვე შევეგუეთ. ვერა და ვერ ავაწყვეთ თამაში, ცალკე ტრავმები, ცალკე ფეხბურთელების ცუდ ფორმაში ყოფნა... გუნდის მექანიზმიც იშლება, მარტივი შეცდომები მოგვდის და იმიტომაცაა, ასეთ დღეში რომ ვართ. ყველა ფეხბურთელი ისე ვერ თამაშობს, როგორც შეუძლია.

**— წინა ტურში „ჰამბურგთან" მოსაგები თამაში გქონიათ...**

— კი, მეორე ტაიმში კარგად ვითამაშეთ, მაგრამ ფრეს ვერ ავცდით. „ჰამბურგთანაც" რამდენიმე ფეხბურთელი გვაკლდა.

**— ხიზანეიშვილსა და ცქიტიშვილს „ჰამბურგთან" ტრავმების გამო არ უთამაშიათ. როგორია მათი მდგომარეობა?**

— ხიზანეიშვილს ჯვარედინი იოგები აქვს დაწყვეტილი და მალე ოპერაციას გაუკეთებენ, ცქიტიშვილმა კი საქართველო—თურქეთის თამაშში მიიღო ტრავმა, თუმც უკვე ვარჯიშობს.

**— „ფრაიბურგის" ხელმძღვანელობა ფოლკერ ფინკეს გაშვებაზე არ ფიქრობს?**

— ფინკეს არ აღანაშაულებენ. აქ იგი ხელშეუხებელი კაცია.

**— ბუნებრივია, „ფრაიბურგიდან" წასვლა გენდომება. შემოთავაზებები არ გაქვს?**

— რა ვიცი, ჯერ დამთავრდეს ჩემპიონატი. რეალური წინადადება არ ყოფილა და ტყუილად ლაპარაკი არ მინდა.

**— საქართველოს ნაკრებზეც ვთქვათ. ბერძნებთან და თურქებთან წაგებებს რა მიზეზებს მოუძებნიდი?**

— მგონი, ყველაფერი ცხადია. ბერძნებთან პირველი ტაიმის ბოლო წუთებზე გაშვებულმა ორმა გოლმა გაგვტეხა. ფსიქოლოგიურად ძალიან გაგვიჭირდა, ან ვის არ გაუჭირდებოდა ასეთ დროს. თურქეთთანაც ამან იმოქმედა, თორემ დრო რომ გვქონოდა, ბერძნებთან წაგებას დავივიწყებდით. ვეცადეთ კიდეთ, გვინდოდა, თავიდან ამოგვეგდო ის ორი გოლი, მაგრამ...

**— იქნებ ფეხბურთელებმა დააკლეთ მონდომება, ან ალენ ჟირესმა დაუშვა შეცდომები...**

— რა თქმა უნდა, ჩვენი ბრალიც იყო, შეცდომები ნებისმიერ ფეხბურთელს მოსდის. ჟირესს კი ვერ გავამტყუნებ. წარმოიდგინეთ, ევროპის ჩემპიონს უგებ, რომელმაც მთელი ტაიმის განმავლობაში მხოლოდ ერთხელ თუ ორჯერ დაარტყა კარში და ისიც ჯარიმიდან, ამ დროს კი შესვენების წინ ზედიზედ ორ გოლს უშვებ. საფრანგეთი და ბრაზილიაც კი დაიბნეოდნენ და საქართველოს ნაკრები რა გამონაკლისია. თანაც ყველამ იცის, საბერძნეთი ისეთი გუნდია, ანგარიში თუ წაიყვანა, ძნელად რომ ვერ შეინარჩუნოს.

**— გულშემატკივრების თემასაც შევეხოთ. ამ ორ თამაშში ლანძღვაგინების მეტი არაფერი ისმოდა ტრიბუნებიდან...**

— საბერძნეთთან 1:2-ზე მაყურებელი სხვანაირად რომ მოქცეულიყო და გავემხნევებინეთ, ვინ იცის, თამაში შემოგვეტრიალებინა. როდესაც გიჭირს, მაშინ უფრო გჭირდება გვერდში დგომა. მოედნის კიდესთან რომ ვხურდებოდი, ორი პლასტმასის ბოთლი კინაღამ თავში მომხვდა. ეს ხალხი ფეხბურთის საყურებლად არაა მოსული სტადიონზე, მაგრამ ნაღდმა გულშემატკივრებმა რა დააშავეს...

**— „ფრაიბურგიც" თითქმის სულ აგებს. იქ როდესმე თუ მომხდარა ასეთი არეულობა?**

— პირიქით, თუნდაც „ჰამბურგთან" თამაშისას მთელი სტადიონი ფეხზე იდგა და ტაშს გვიკრავდა, არადა, „ფრაიბურგი" 80 პროცენტით გავარდნილია. გულშემატკივრობა ძალიან ბევრს ნიშნავს ფეხბურთელისთვის, ეს ყველამ უნდა შეიგნოს და თუ არ გვიქომაგებენ, მაშინ საერთოდ ნუ მოვლენ სტადიონზე...

**ილია ნანობაშვილი**

# ადამია ყარაბახს მიუახლოვდა

**ბედის** ირონიით, აზერბაიჯანის ჩემპიონატს დავნატრით. აბა, ნებისმიერ იქ ნამყოფ ქართველ ფეხბურთელს შეეკითხეთ და რას გეტყვით — აზერებს ფინანსურად უფრო დალხენილი კლუბები ჰყავთ, სახელმწიფომ გუნდებს გადასახადები შეუმცირა და საქართველოზე უკეთესი ჩემპიონატიც ტარდებაო.

ეს გლობალური პრობლემაა, ახლა კი „აზერელ" ლეგიონერებზე...

გიორგი ადამიას „ნეფთჩიმ" სტუმრად 1:0 მოუგო ერთ-ერთ აუტსაიდერ მოიკ-ს, გოლი კი 86-ე წუთზე ყურბან ყურბანოვმა გაიტანა. ადამიამ, რომელსაც რვა ტურში ოთხი ბურთი შეუგდია, ეს მატჩი სრულად ჩაატარა. მენავთობეები მეორე ადგილზე არიან და ორი ქულითღა ჩამორჩებიან ლიდერ „ყარაბახს", რომელმაც სტუმრად „არაზთან" წაიფორხილა — 1:1.

ალეკო გოგობერიშვილისა და მერაბ ძოძუაშვილის „ბაკიმ" „შამქირი" 2:0 წააქცია. ჩვენები ძირითად შემადგენლობაში კი იყვნენ, მაგრამ ამჯერადაც უგოლოდ დაშრნენ — ბრაზილიელმა ლეანდრო გომეშმა ისევ გაიტანა, მეორე ბურთი კი სლოვენიელმა ლიშერამ შეაგდო. „ბაკი" მეორე წრის დაწყებამდე ლიდერი იყო, თუმც ახლა კენწერომდე 7 ქულა აკლია.

ქართული გოლი კი ირაკლი ბერაიას ანგარიშზეა — ჩვენებურმა „გეიაზანს" (2:0) გაუტანა. ამ მატჩში ირაკლის ძმამ, გოგამ და წინა ტურში „პოკერის" ავტორმა მიხეილ ხუციშვილმაც ითამაშეს.

**ილია ნანობაშვილი**

# კიკნაძე ლოკომოტივის სკამზე დაჯდა

**თბილისის** „დინამოს" ყოფილი კაპიტანი გიორგი კიკნაძე ორიოდ დღის წინ „ლოკომოტივის" მწვრთნელ ნოდარ აკობიას თანაშემწედ დაინიშნა.

28 წლის გიორგი კიკნაძეს თავის დროზე საქართველოს ჩემპიონატში „მერანში", „მარგვეთში", „სპარტაკსა" და „დინამოში" უთამაშია, იყო ვლადიკავკაზის „ალანიაში", ბელგიურ „რასინგ-მეხელენში", თურქულ „სამსუნსპორში" და გერმანულ „ფრაიბურგშიც", მაგრამ უდავოდ ნიჭიერი ცენტრალური ნახევარმცველი ჯერ მხედველობის, მერე კი წელის პრობლემებმა დატანჯა. კიკნაძემ რამდენჯერმე უცხოეთში იმკურნალა, თუმც უშედეგოდ და მოედანსაც ნელ-ნელა ჩამოშორდა. არადა, თავის დროზე საქართველოს ახალგაზრდულ და ეროვნულ ნაკრებებშიც უთამაშია.

— ჩემი ყოფილი თანაშემწე კახა კაჭარავა „დინამო 2"-ის მწვრთნელად დაინიშნა, მის ნაცვლად კი გიორგი კიკნაძის სამსახური ვისურვე. გიორგი საკმაოდ კვალიფიციური ფეხბურთელი იყო და ვფიქრობ, წარმატებული სამწვრთნელო კარიერაც ეწყება. მას ბევრ გუნდში უთამაშია, დიდი გამოცდილებაც დაუგროვდა და „ლოკომოტივს" სარგებლობას მოუტანს — თქვა „ლოკომოტივის" თავკაცმა ნოდარ აკობიამ.

მწვრთნელის თანაშემწის რანგში გიორგი კიკნაძეს დებიუტი გუშინ, ყოფიანის თასზე „ვიტ ჯორჯიასთან" ჰქონდა — „ლოკომოტივმა" 2:0 იმარჯვა.

**კობა ინასარიძე**



ნოდარ აკობიამ გვერდით გიორგი კიკნაძე მოისვა

# მუჯირის სეზონი დამთავრდა

**ჯერ კიდევ** შარშან, დეკემბერში დაშავებული დავით მუჯირის ტრავმამ ისე გააწამა, უარესს ვერც წარმოიდგენდა კაცი. ავსტრიული „შტურმის" ქართველ ნახევარმცველს, ვინც სეზონი კარგად დაიწყო და საწყის 7 მატჩში გატანილი 4 გოლით ბომბარდირებშიც ტრიალებდა, ვარჯიში ჯერაც ეკრძალება.

— ვერაფერი გავიგე. ექიმებმა დიაგნოზი ძლივს დამისვეს და როდის გამოვჯანმრთელდები, არავინ იცის. საზარდულის ქვეშ ანთებითი პროცესი ყოფილა და, როგორც მითხრეს, ამას ოპერაციაც ვერ უშველის. ნემსებით უნდა მოგარჩინოთო. ნემსებს კი ბოლო არ უჩანს — გვითხრა გუშინ მუჯირმა.

ჩვენებურმა სამკურნალოდ გერმანელ ექიმებს მიმართა და სწორედ მათ უთხრეს, ხანგრძლივი უქმობა მოგიწევსო, მაგრამ...

— მათ არ უთქვამთ, ოთხი თვე შინ იჯდებიო. ამას ალბათ ვერც წარმოიდგენდნენ. ათიოდ დღის წინ სირბილის უფლებაც მომცეს, მაგრამ ტკივილებმა ისე შემაწუხა, რომ გახსენებაც არ მინდა. ასე წვალებაში გავიდა ოთხი თვე და არა მგონია, ამ სეზონში თამაში შევძლო — წუხს „შტურმის" ერთ-ერთი ლიდერი.

**კახა შალამბერიძე**



# დავით ყიფიანის თასი

## ნახევარფინალი. პირველი მატჩები





გაფიო კოპილაშვილის ფოტოები

# ნოდარ-ჯანიანი

## ლოკომოტივმა მცხეთას გადააბიჯა?

კობა ინასარიძე

თბილისი. 6 აპრილი. 16 საათი. მიხეილ მესხი. 1 000 (ტევადობა 25 600)

### ლოკომოტივი 2:0 ვიტ ჯორჯია

1:0 გიგაური (49), 2:0 ფოფხაძე (77)

ლოკომოტივი: სტურუა, გიგაური, ექონია, გ. ონიანი, სეთურიძე, რ. ონიანი, სანიკიძე (ქებაძე 46), მანჩხავა, კახელიშვილი (დ. ფოფხაძე 62), სირბილაძე, ბობოხიძე (ალავერდაშვილი 78)
სათადარიგონი: ზ. ჩალაძე; რამონი, მძინარიშვილი
მწვრთნელი: ნოდარ აკობია

ვიტ ჯორჯია: ჭურაძე, გ. კვახაძე (ებანოიძე 65), დ. ლომაია (გ. დათუნაიშვილი 86), იმედაშვილი, დილმელაშვილი, რაზმაძე, ლ. კვარაცხელია (ქუხილავა 46), სახოკია, ბ. დათუნაიშვილი, ჩილვინაძე, მარცვალაძე
სათადარიგონი: ბედიაშვილი; ა. კვახაძე, ცხომარია
მწვრთნელი: ჟანი კარნევალი

გაფრთხილება: ქებაძე (59), სირბილაძე (69), მარცვალაძე (71), ალავერდაშვილი (80), გიგაური (82)

გაძევება: ჩილვინაძე (42), გ. ონიანი (42)

მსაჯები: მ. მალალურაძე (თბილისი); ლ. მიქელაძე (სამტრედია), მ. ელიკაშვილი (თბილისი); ა. ორდინიძე (ონი)

ინსპექტორი: ნ. კაკულია

— დღეს ფინალისკენ დიდი ნაბიჯი გადავდგით, მაგრამ ვერ ვიტყვი, რომ „ვიტ ჯორჯია“ უკვე დამარცხებული გვყავს, წინ ძალიან რთული საპასუხო მატჩი გველის — თქვა ნამატჩევს „ლოკომოტივის“ თავკაცმა ნოდარ აკობიამ, ვისმა დამოძღვრილმა გუნდმაც გუშინ „მიხეილ მესხზე“ აშკარად დაჯაბნა საქართველოს ჩემპიონი.

— დღეს ჩვენ უფრო გააზრებული ფეხბურთი ვითამაშეთ, ვიცოდით, რა გვსურდა და სათამაშო დისციპლინაც თითქმის ბოლომდე დავიცავით — ესეც ნოდარ აკობიას ნამატჩევს ნათქვამია, თუმცა, ალბათ, უფრო „ლოკომოტივის“ მეორე ტაიმში ნაჩვენები ფეხბურთი იგულისხმა.

...შესვენებამდე კი, როგორც სათასო პირველი მატჩებისას ხდება ხოლმე, არც „ლოკომოტივს“, არც სტუმრებს სახეირო ბევრი არაფერი გამოსვლიათ. თუმცა ამ უგოლო და ყინიან ტაიმშიც კი იგრძნობოდა მასპინძელთა უპირატესობა.

ტაიმიც ისეთივე ყინით ჩამთავრდა, როგორც იქამდე იყო: გიორგი ონიანმა და დავით ჩილვინაძემ ერთმანეთი არ დაინდეს და დიდი აყალმაყალიც ატყდა. თანაგუნდელები და სათადარიგოთა სკამზე მსხდომნი საქმეში დროულად ჩაერივნენ და მოშუღარნი დააშოშმინეს, არბიტრმა მერაბ მალალურაძემ კი ორივე გასახდელში გაისტუმრა.

შესვენებაზე „ლოკომოტივის“ თავკაცმა ლევან სანიკიძე ლაშა ქებაძით შეცვალა და მატჩის განახლებიდან რამდენიმე წუთში შედეგიც მიიღო: საჯარიმოდან ქებაძის ჩაწოდებულს დავით გიგაურმა მეკარის ზურგს უკან ზუსტი თავური შეაგება და ანგარიშიც გახსნა.

„ლოკომოტივისთვის“ მთავარი მიზანი გოლის არგაშვება იყო, რაც მასპინძლებმა, მოგვიანებითაც გამოჩნდა, შეასრულეს. არადა, ერთი-ორი ეპიზოდისას „ვიტ ჯორჯია“ საპასუხო გოლთან ძალიან ახლოს იყო — მეკარე ზვიად სტურუამ იყოჩაღა და სტუმრებს ცოცხალი თავით არ გაატანინა, მისი საიმედოობა და თავდაჯერება კი შემდეგ პარტნიორებსაც გადაედოთ.

მეორე ბურთი უკვე შეცვლაზე შესულმა დაჩი ფოფხაძემ შეაგდო. ირაკლი სირბილაძის გამოზომილი პასით საჯარიმოში შეჭრილმა ცაციათი გაიტანა — 2:0.

მასპინძლებს ამის მერე უფრო მეტიც შეეძლოთ, მაგრამ გამოუცდელობის თუ უიღბლობის გამო „ვიტ ჯორჯია“ გადაურჩათ.

მატჩის ბოლოსკენ ფოფხაძე-სეთურიძე-ალავერდაშვილის კომბინაცია კი ისეთი გონივრული და ლამაზი გამოდგა, ტრიბუნაზე მსხდომთაშიც მოწყვეტა, რაც საქართველოს ჩემპიონატის თუ თასის მატჩებისას დიდი იშვიათობაა.

***ნოდარ აკობია, „ლოკომოტივის“ მწვრთნელი:*** ვფიქრობ, ნორმალური, საინტერესო მატჩი იყო. პირველ ტაიმშიც შეგვეძლო გოლის გატანა, მაგრამ ორგანიზებულად მოთამაშე მეტოქესთან ეს მოგვიანებით შევძელით. შესვენებაზე ფეხბურთელებს დავუცაცხანე, შევახურე, ვგრძნობდი, რომ მოგება ახლოს იყო.

— დღეს რომ „ლოკომოტივში“ ბევრი ნიჭიერი და პერსპექტიული ახალგაზრდაა, ცხონებული ჯემალ ჩიმაკაძის დამსახურებაა. ისინი გუნდში მან მოიყვანა. ჯემალ ჩიმაკაძეს ფეხბურთელთა ამოცნობის საოცარი ნიჭი ჰქონდა.

— დავით ყიფიანი ჩემი მეგობარი იყო. მასთან ერთად 14 წელი ვიმუშავე, ერთად ვიყავით უცხოეთშიც და დავით ყიფიანის თასის მოპოვება, წარმოიდგინეთ, ჩემთვის როგორი საქმე იქნება.




გაფიო კოპილაშვილის ფოტო

# დავით ყიფიანის თასი

## ნახევარფინალი. პირველი მატჩები

თბილისი. 6 აპრილი. 16 საათი. ოლიმპი. 3 000 (ტევადობა 3 000)

### თბილისი 0:0 ზესტაფონი

**თბილისი:** გრიშიკაშვილი, მინ ჩოი (ბ. ფლენტი 46), ქემოკლიძე, ლოლაძე (აფციაური 76), მიქიაშვილი, მესხი, შ. ჯიქია, გენაძე, ფიფია, გ. ფოფხაძე, ს. იაშვილი (რ. ბარაბაძე 46)
*სათადარიგონი:* ჯინჭარაძე, ბოჭოიძე, ტომარაძე, ხიდაშელი
**მწვრთნელი:** ლუის ცაკარიასი

**ზესტაფონი:** ქვაჩახია, ჩიკვილაძე, ლონლაძე, ს. თოდუა, გუჩუა (ბ. ნოზაძე 87), შავგულიძე, ნუდნი (ბეხარაშვილი 71), ძამსაშვილი, კ. ჩხეტიანი, თურმანიძე (განუგრავა 78), იონანიძე
*სათადარიგონი:* სომხიშვილი, კვერნაძე, ბ. გოცირიძე, ზირაქიშვილი
**მწვრთნელი:** თემურ მახარაძე

**გაფრთხილება:** გუჩუა (30), მესხი (41), იონანიძე (52)

**მსაჯები:** ლ. ფანიაშვილი; ზ. მენთეშაშვილი (ორივე თბილისი), გ. ჩიგოგიძე (სამტრედია); ა. კრიჭაშვილი (თბილისი)

**ინსპექტორი:** ო. გუნთაძე


გურამ [illegible]შვილის ფოტო

# სათასო სიმღერები, ბუთქები და ქათინაურები

**დავით თავართქილაძე**

სტადიონი, რომელსაც ერთი, აღმოსავლეთ ტრიბუნა აქვს, თითქმის გაივსო და ორად გაიყო — აქეთ ზესტაფონელი ქომაგობა მოკალათდა, იქით თბილისელები. სტადიონზე გამოკრული იყო შავ-თეთრი პლაკატები წარწერით: „ზესტაფონო გშორდები", რომელსაც ზესტაფონელთა მწვრთნელის თემურ მახარაძის და დავით ყიფიანის სახელობის თასის ფოტოები ამშვენებდა.

გუნდები სათამაშოდ გამოვიდნენ თუ არა, „თბილისის" გულშემატკივართა ერთმა ნაწილმა ცეცხლი გახსნა — მინი-მაშხალებით კაი ბათქა-ბუთქი ატყდა — „თბილისის" მხარდამჭერებს ეს ადრეც გაუკეთებიათ და გუშინ ოდინდელ ტრადიციას არ უღალატეს. თბილისელთა განკარგულებაში იყო ფოლკლორული გუნდიც, რომელმაც სხვათა გარდა „ზესტაფონო გშორდებიც" დასჭექა.

თამაშიც, მიუხედავად უგოლობისა, ცეცხლოვანი გამოდგა, გუნდებს დიდი მოტივაცია ეტყობოდათ და ამავე დროს დიდი სიფრთხილეც — ეს არ იყო რიგითი მატჩი, ნამდვილი სათასო პაექრობა გახლდათ. „ზესტაფონი" მეტოქეზე უფრო სოლიდურად გამოიყურებოდა და ეს არც იყო გასაკვირი — „ზესტაფონი" უკეთ მოემზადა სეზონის მეორე ეტაპისთვის და უფრო გამოცდილი ფეხბურთელებიც ჰყავს.

პირველი საგოლე შანსი ზურაბ ძამსაშვილს ჰქონდა, როცა „თბილისის" მცველებმა საჯარიმო მოედნიდან ბურთი ვერ გამოიტანეს, მაგრამ ზესტაფონელმა უხეიროდ დაარტყა.

მალე „თბილისიც" გაიქაჩა საგოლედ — გოგი ფიფიამ ფლანგური ჯარიმა ჩააწოდა, სანდრო იაშვილი ყველაზე მაღლა ახტა და მძლავრი თავურით ზურაბ ქვაჩახიას სიმშვიდე დაუფრთხო.

შემდეგ ისევ ძამსაშვილი აღმოჩნდა კარგ პოზიციაზე და ბურთი კვლავ ვერ მოირგო კარგად ფეხზე.

ცოტაც და, „ზესტაფონმა" აშკარა საგოლე მომენტი ვერ გამოიყენა: სევასტი თოდუას დარტყმულს რიკოშეტი მოჰყვა, ბურთთან ზურაბ იონანიძე გაჩნდა, მაგრამ სამიოდე მეტრიდან სოსო გრიშიკაშვილს ვერ აჯობა — „თბილისის" მეკარემ ფეხით მოიგერია ბურთი კუთხურზე.

ტაიმის ბოლოს კახა ჩხეტიანს გაუცუდდა დარტყმა ხელსაყრელი პოზიციიდან და გრიშიკაშვილმაც ხელებში გააქვავა ბურთი, შემდეგ თბილისელთა გოლკიპერმა გამოსვლაზე ითამაშა შედეგიანად და მუშტებით განმუხტა მწვავე სიტუაცია, ერთხელაც იონანიძეს აეჭრა ბურთი ფეხიდან — მოკლედ, „ზესტაფონი" პირველ ტაიმში დიდად შთამბეჭდავად არა, მაგრამ „თბილისზე" სოლიდურად გამოიყურებოდა.

ტაიმის დამთავრებას წუთიღა უკლდა, როცა თბილისელებს იაშვილი დაუშავდათ და ის გასაყვანი შეიქნა — ფეხბურთელებით ისედაც ურესურსო „თბილისს" ქვა ალმართში მიეწია.

მეორე ტაიმი „თბილისმა" მხნედ კი დაიწყო, მაგრამ მხნეობა ვერ შეინარჩუნა — ერთხელაც გამოჩნდა, რომ „თბილისი" ფიზიკურად არცთუ კარგადაა მზად, რათა სეზონი სტაბილურად ჩაამთავროს. ერთი სიტყვით, „თბილისს" ჯანი აკლდა, თორემ მობილურობა არ დაეწუნებოდა. ნელ-ნელა ფორმაში შედის რევაზ ქემოკლიძე, ვინც გუშინ მეტწილად იონანიძეს მეურვეობდა. თუმც იონანიძე მეორე ტაიმშიც დაემუქრა მეტოქეს და კვლავ გრიშიკაშვილმა იყოჩაღა.

თბილისელთა მეკარემ არც ძამსაშვილს დაანება გოლის გატანა — ახლოდან, მახვილი კუთხიდან დარტყმული მოიგერია. მიზანმა უმტყუნათ თოდუასა და მიხეილ ბესარაშვილს. თითქოს „ზესტაფონი" საცაა გოლს გამორჩებოდა, მაგრამ თემურ მახარაძის გუნდი მაინც ფრთხილობდა, შეტევაში დიდი ძალებით გადასვლას ერიდებოდა.

ცხადია, ფრე უფრო „ზესტაფონისა" იყო და ლუის ცაკარიასიც რისკზე წავიდა — მცველ გიორგი ლოლაძის ნაცვლად შემტევი შუახაზელი თორნიკე აფციაური შეიყვანა, ვინც ტრავმის შემდეგ ჯერაც არაა საუკეთესო ფორმაში, მაგრამ „თბილისის" შეტევებს ფხა და სიმწვავე მაინც შემატა. აფციაურმა გულშემატკივრებსაც შეუძახა, ხმა ამოიღეთ, იყვირეთ და გვიქომაგეთ. მართალია, მატჩის ბოლოს „თბილისმა" იძალა, მეტჯერ გაიწია მეტოქეზე, მაგრამ საგოლე ღონე და მარიფათი მაინც არ აღმოაჩნდა.

მატჩისშემდგომ პრესკონფერენციაზე ზესტაფონელთაგან ჯერ მახარაძის თანაშემწე დავით ქანჩხაძე მოვიდა და სანამ საკუთარ კომენტარს მოგვახსენებდა, გვითხრა, მახარაძე შეუძლოდ გახდა და ამიტომაც ვერ მოვიდაო. მაგრამ რამდენიმე წუთში მახარაძე მაინც გამოჩნდა და თავისი სათქმელი მოგვახსენა: „ამხელა უპირატესობა გვქონდა და გოლი ვერ შევაგდეთ ძალიან რთული მატჩი ვითამაშეთ გუნდთან, რომელსაც ჭკვიანი მწვრთნელი ჰყავს."

*ლუის ცაკარიასი:* „სათასო მატჩები ასეთი მაღალი ბრძოლისუნარიანობით გამოირჩევა. შეხვედრას მხოლოდ გოლები აკლდა. ზესტაფონში კიდევ უფრო დიდი ბრძოლა გველის, მაგრამ სათასო მატჩს სულ სხვა წესები აქვს და შესაძლოა, სტუმრად ვიზეიმოთ კიდეც."




გურამ [illegible]შვილის ფოტო

# ჩემპიონთა ლიგა 2004-2005. მეოთხედფინალი. პირველი მატჩი

„ლივერპულს“, კარგა ხანს ისე ჩანდა, რომ საპასუხო მატჩის წინ გვარიანი ფორა უნდა დაეგროვებინა. მაგრამ ფაბიო კანავაროს გოლმა ინგლისელთა ფავორიტობა ნაკლებ თვალსაჩინოდ გახადა. ახლა კი დიდი შანსია, ნახევარფინალისტის ვინაობის გარკვევაში სწორედ სტუმრად გატანილი გოლი თუ გოლები ჩაერიოს.

თამაშს წინ წუთიერი დუმილი უძღოდა, რითაც „ენფილდზე“ მისულმა ხალხმა ერთის მხრივ, ოცი წლის წინანდელი „ეიზელის“ ტრაგედიის დროს დაღუპულთა და ამავე დროს რომის პაპის, იოანე პავლე მეორის ხსოვნას მიაგეს პატივი. ტრიბუნაზე კი ინგლისელ გულშემატკივრებს ფერადი ლაფებით AMICIZIA ჰქონდათ დაწერილი, რაც იტალიურიდან ჩვენებურ თარგმანში მეგობრობას ნიშნავს.

თუმცა ისიც ვთქვათ, რომ ამ ცერემონიისას ბევრმა იტალიელმა გულშემატკივარმა მოედანს ზურგი აქცია, სტვენა ატეხა და უმრავლესობამაც უკმაყოფილება შუათითის ჩვენებით გამოხატა, აქაოდა, ჩვენ მაგათთან ვერასდროს ვიმეგობრებთ. ამათი საქციელის საპირისპიროდ, თამაში გასაოცრად კორექტული გამოდგა, თითქოს ფეხბურთელები ხაზგასმით ცდილობდნენ მინიშნებას, ერთმანეთთან სამტრო არაფერი გვაქვსო.

პირველივე წამებზე ტურინელ ემერსონს მოედანზე ფეხი დაუცდა, რითაც მილან ბაროშმა ისარგებლა და არასტრისკენ პირველი საშიში მომენტი შექმნა, რასაც პირველ ტაიმში თამაშზე „ლივერპულის“ ტოტალური კონტროლი მოჰყვა.

მეათე წუთზე „ლივერპულმა“ უკვე იზეიმა: სტივენ ჯერარდმა კუთხური ჩააწოდა, ახლო მანძილიდან ბურთს ლუის გარსია დახვდა და თავით უკანა ძელისკენ გადააგდო, სადაც დროულად ჩამოსწრებულმა სემი ჰიიპიამ ჩამონებულ ძებინას დაასწრო, ლონივრად დაჰკრა და ბუფონს გაუტანა.

ლივერპული. „ენფილდ როუდი“. 41 216 მაყურებელი

## ლივერპული 2:1 იუვენტუსი

1:0 ჰიიპია (10), 2:0 ლუის გარსია (25), 2:1 კანავარო (63)

| ლივერპული | იუვენტუსი |
|---|---|
| კარსონი, ფინანი, კარაგერი, ჰიიპია, ტრაორე, ლუის გარსია, ბიშკანი, ჯერარდი, რიისე, ბაროში (ნუნიესი 66), ლე ტალეკი (შმიცერი 73) | ბუფონი, ძებინა (მონტერო 81), ტურამი, კანავარო, ძამბროტა, კამორანეზი, ემერსონი, ბლაზი (პესოტო 46), ნედვედი, დელ პიერო (ტრეზეგე 61), იბრაჰიმოვიჩი |
| მწვრთნელი: რაფაელ ბენიტესი | მწვრთნელი: ფაბიო კაპელო |

მსაჯი: ფრანკ დე ბლეეკერი (ბელგია)

# ქალბატონის საყვარელი 1:0 მერედა როგორ უყვარს?



AFP ლივერპულიდან

ტურინელთა სიხარული: ფაბიო კანავაროს გოლმა „იუვენტუსს“ ფავორიტობა შეუნარჩუნა

მოგვიანებით, ლუის გარსიამ თავადაც გაიტანა. თუმცა იქამდე კინაღამ მეორე საგოლე პასის ავტორიც გახდა — მის ჩაწოდებულზე მილან ბაროშმა სულ ოდნავ დააგვიანა.

მეორე გოლი კი ულამაზესი გამოდგა: ახალგაზრდა ფრანგმა, ანტუან ლე ტალეკმა ყოფილ ბარსელონელს კარიდან ოცდახუთიოდ მეტრში პასი მისცა, ლუის გარსიას ადგილას ბარე ორი თამაშის სხვანაირ გაგრძელებას დაუწყებდა ძებნას, მან კი პირდაპირ კარში დაარტყა და მოჭრილი ბურთი ჰაერში გაწვართული ჯანლუიჯი ბუფონის ზურგსუკან ჩაეშვა — 2:0 25-ე წუთისთვის გვარიანი უპირატესობაა, მაგრამ ორმატჩიან საპლეიოფო ბრძოლას, მოგეხსენებათ, თავისი სპეციფიკა აქვს და ერთ საპასუხოსაც შესაძლოა, გადამწყვეტი მნიშვნელობა ჰქონდეს.

მოკლედ იმის თქმა გვინდა, რომ თამაშის ასეთმა მსვლელობამ „იუვენტუსი“ ვერ გატეხა და თუნდაც ერთი ბურთის გასაქვითად შეიმართა. მართალია, შესვენებამდე ინიციატივა ისევ ლივერპულელებისა იყო, მაგრამ ერთი დიდებული მომენტი ტურინელებსაც ჰქონდათ — ზლატან იბრაჰიმოვიჩმა ძელს გაარტყა, დამატებაზე კი პაველ ნედვედმა ვერ ივარგა. ამ ეპიზოდში, ერთია, რომ სტუმრებს არ გაუმართლათ, მაგრამ ისიც სათქმელია, რომ მასპინძლები ტყუილად იდგნენ და, ხელს ვერ უშლიდნენ.

შესვენების მერე სტუმრებმა უმჭიდროვეს პრესინგს მიმართეს. ფაბიო კაპელომ „ლივერპულს“ სუსტი წერტილი უპოვა და მასპინძელთა საპირველტაიმო უპირატესობაც ნელ-ნელა გაქრა, „იუვენტუსისა“ კი გამოიკვეთა.

ერთიც ვთქვათ: იტალიელთა კომბინაციები არ ყოფილა ისეთი ლამაზი, როგორიც ლივერპულელთა, სამაგიეროდ, მათ იერიშებში ძალა უფრო მეტად იგრძნობოდა.

საბოლოოდ სტუმართა მონდომება მასპინძელთა მეკარემ, 19 წლის სკოტ კარსონმაც „დააფასა“, ვისთვისაც ეს პირველი საევროთასო მატჩი გახლდათ. ჯერ იყო და, ტურინელთა მორიგი შეტევისას კარიდან გამოსულმა სიტუაციაზე კონტროლი დაკარგა. წუთის მერე კი — ძამბროტას ფლანგიდან ჩაწოდებისას — კანავაროს არცთუ სასიკვდილო თავური ვერ მოიგერია

თამაშიც ასე დასრულდა და ახლა, საპასუხო მატჩის წინ, ვითარება „იუვენტუსისთვის“ ძალიან ნაცნობია. ნახევარფინალში გასასვლელად იტალიელებმა 1:0 უნდა მოიგონ. მერედა როგორ უყვარს „იუვენტუსს“ 1:0 მოგება?! ჯგუფური ეტაპის ექვსი მატჩიდან ხომ „იუვენტუსმა ხუთი სწორედ ამ ანგარიშით მოიგო.

საპასუხო მატჩში „ლივერპულს“ ერთბურთიანი უპირატესობის მიუხედავად ძალიან რომ გაუჭირდება, მისმა მწვრთნელმა შარშან უეფას თასის მომგებმა რაფაელ ბენიტესმაც აღიარა: „პირველი ტაიმით და ორი გოლით უაღრესად კმაყოფილი ვარ, მაგრამ მეორე ტაიმში „იუვენტუსმა“ ბრწყინვალედ ითამაშა და ვიცი, რომ ტურინში უმძიმესი მატჩი გველის.“

ეს მატჩი ფაბიო კაპელომაც ამგვარადვე შეაფასა, თუმცა რითაც ბენიტესი კმაყოფილი იყო, იმან კაპელო, ბუნებრივია, უკმაყოფილო დატოვა: „პირველ ტაიმში, უფრო ზუსტად კი საწყის ნახევარ საათში ძალიან ცუდად ვითამაშეთ. შეიძლება ითქვას, საერთოდ ვერ ვითამაშეთ. მეტოქეს ორი გოლი ვაჩუქეთ და მოედანზეც მხოლოდ „ლივერპული“ ჩანდა. ამის მიზეზი ის იყო, რომ საკმარისად აგრესიულები არ ვიყავით და ბრძოლას გავურბოდით. რა თქმა უნდა, რიგცა მეტოქეს სივრცეს გაუხსნი, სახიფათოდაც შემოგიტევს და გაგიტანს. შესვენების მერე კი პირველ ტაიმში დაშვებული შეცდომები გამოვასწორეთ და შეტევის ბოლო ფაზაში მეტი იღბალი რომ გვქონოდა, ერთზე მეტ გოლსაც გავიტანდით. მაგრამ მთავარი ის არის, რომ ორბურთიანმა ჩამორჩენამ ვერ გაგვტეხა. საბოლოო შედეგი კი, ვფიქრობ, ჩვენთვის არც ისე ცუდია.“

ბოლოს კი ერთი ასეთი ამბავი ვახსენოთ: 1985 წლის 29 მაისს, იტალიის ტელევიზია „ეიზელზე“ მატჩისწინა ჭყლეტვას პირდაპირ ეთერში გადასცემდა. პატარა დელ პიეროსთვის მამას უთქვამს, ნუ უყურებ შვილო ამასო და ალექსიც ქუჩაში გაუშვია.

**ირაკლი ნინიძე**



AFP ლივერპულიდან

ჩვენ არ შეგირიგდებით! — „იუვენტუსის“ ტიფოზთა ამ უხამსმა ჟესტმა იტალიური მედიაც აღაშფოთა

# ჩემპიონთა ლიგა 2004-2005. მეოთხედფინალი. პირველი მატჩი





პოლ ლე გუენისთვის მოზეიმე ეინდჰოვენელთა ცქერა ძნელია, გუს ჰიდინკი კი შეგირდებს აქტიურობისკენ მოუწოდებს

# ოლას ლიონის სჯერა
## გომესმა გოვუ გამოიცნო

ლიონი. „სტად ჟერლანი". 40 000 მაყურებელი

## ლიონი 1:1 პსვ ეინდჰოვენი

1:0 მალუდა (12), 1:1 კოკუ (79)

კუპე, რეველიერი, კრისი, კასაპა, აბიდალი, ესიენი, მ. დიარა, ჟუნინიო, მალუდა, ვილტორდი, გოვუ
მწვრთნელი: პოლ ლე გუენი

გომესი, ოიერი, ალექსი, ბუმა, ი. ლი, ვან ბომელი, კოკუ, ფოგელი, პარკი, ვენეგოორ ოფ ჰესელინკი, ფარფანი (ბისლი 71)
მწვრთნელი: გუს ჰიდინკი

გაფრთხილება: ფოგელი, კოკუ
მსაჯი: პიერლუიჯი კოლინა (იტალია)

„ლიონს" არ გამოუვიდა ის ფოკუსი, რაც ბრემენის „ვერდერთან" გააკეთა — სწრაფი გოლის მიუხედავად, ფრანგებმა „პსვ ეინდჰოვენი" ვერ გატეხეს, თუმც საგოლე მომენტები არაერთი ჰქონდათ.

პოლ ლე გუენს ძირითადი შემადგენლობის ყველა ფეხბურთელი ჯანზე ჰყავდა. დაცვის ცენტრში კვლავ ითამაშა კლაუდიო კასაპამ, მარჯვნივ კი ანტონი რეველიერმა. ნახევარდაცვაში თავი ვერაფრით გამოიჩინა საჯარიმოების შემსრულებელმა ჟუნინიო პერნამბუკანომ. შეტევაში კი სამნი ირჯებოდნენ — მარჯვენა სიდნეი გოვუ, მარცხნივ ფლორენ მალუდა და ცენტრში სილვენ ვილტორდი.

მსგავსი ტაქტიკა აირჩია გუს ჰიდინკმაც. ნახევარდაცვის გულიდან ფილიპ კოკუ სამ ფორვარდს ამარაგებდა — ფლანგებზე ჯეფერსონ ფარფანს და ჟი სუნ პარკს, ცენტრში კი იან ვენეგოორ ოფ ჰესელინკს, რომელმაც კარისკენ პირველად 45-ე წუთზე (!) დაარტყა.

შესვენებამდე „ლიონი" მეტოქეზე უფრო ქორწად გამოიყურებოდა და ბლომად თავსატეხიც გაუჩინა სტუმრებს, მაგრამ...

შეხვედრის დასაწყისშივე იოჰან ფოგელმა გრეგორი კუპე „გააგარჯიშა" — ფრანგთა მეკარე ყოჩაღად იდგა. ამის შემდეგ ჟუნინიომ საჯარიმო დარტყმა შეასრულა და კარის ჩარჩოს აცილა. აქედან ოთხ წუთში კი ანგარიში გაიხსნა — მამადუ დიარამ მარჯვენა გოვუს დაუგორა, რომელმაც ვილტორდს ჩააბარა ბურთი. ვილტორდმა მყისვე მალუდა მონახა, მან კი საგოლედ დაჰკრა და „ლიონი" დააწინაურა.

მოგვიანებით დიარამ კარის ჩარჩოს აცილა, რაზეც კორეელმა ლიმ ასეთივე უზუსტობით უპასუხა. ტაიმის მიწურულს მასპინძელთა ნახევარმცველი მიკაელ ესიენი „აფეთქდა": მისი დარტყმული ბურთი გომესმა სასწაულებრივ მოიგერია, ესიენის მომდევნო მცდელობა კი ძელის შეტოკებით დასრულდა.

მეორე ტაიმში პსვ-მ აშკარად მოუმატა და გუს ჰიდინკმაც გუნდს „ხელი" დაატყო. სტუმრები გაცილებით სწრაფად ათამაშდნენ, ხოლო მასპინძლებს დაღლა დაეტყოთ.

63-ე წუთზე სიდნეი გოვუმ ნაღდი შანსი გააცუდა, როცა ათიოდე მეტრიდან მეკარე გომესს [illegible] ლურჯად ვერ გაუტანა. ხოლო [illegible] გუს ჰიდინკისეული ოსტატობა [illegible] ფილიპ კოკუმ გაათანაბრა.

ნახატებზე ხედავთ [illegible] [illegible] [illegible] [illegible]. მაგრამ მეკარემ [illegible]. შეიძლება, [illegible] [illegible] [illegible] [illegible] [illegible] წუთი [illegible]."

„ლიონის" [illegible] [illegible] [illegible]. [illegible] [illegible] [illegible] [illegible] [illegible] [illegible] [illegible] [illegible] [illegible] [illegible] [illegible] 11 [illegible] [illegible] [illegible] [illegible] [illegible] [illegible] [illegible] [illegible] [illegible] [illegible] მეტოქეზე".

პოლ ლე გუენი [illegible] [illegible], როცა [illegible] 10-ზე მეორე გოლის გატანის შანსი გვქონდა და არ [illegible]. [illegible] ვითარებაში მეტოქე [illegible], მაგრამ, ეს ხომ ვერ [illegible] მატჩია და ამიტომ [illegible] [illegible] შეხვედრაში [illegible] სტუმრად [illegible] [illegible] [illegible] და [illegible] [illegible] [illegible]".

გუს ჰიდინკი: „ორი [illegible]. ბული ტაიმი ვითამაშეთ [illegible] დავიწყეთ, მერე კი [illegible] და სწრაფი გოლიც [illegible]. მეორე ნახევარში „ლიონის" ნახევარდაცვა დასუსტდა და ჩვენ ისევ ხელთ ვიგდეთ მატჩის სადავეები. ნახევარფინალისკენ ორივე ნაბიჯი გადავდგით, მაგრამ ვიცით, რომ საპასუხო შეხვედრა ძნელი რთული იქნება. „ლიონი" ძლიერი გუნდია, მაგრამ ახლა ფავორიტები ჩვენ ვართ, რადგან [illegible] სტუმრად არცთუ ცუდად [illegible]".

ვაჟა ხუციშვილი



ეს ჰოლანდიელები თანამედროვე ქართველები რომ იყვნენ, ლუდით „ლიონს" დალოცავდნენ

# უეფას თასი 2004-2005
## 1/4 ფინალი. პირველი მატჩები. დღეს

ნიუკასლი (ინგლისი) – სპორტინგი (პორტუგალია)
ცსკა (რუსეთი) – ოსერი (საფრანგეთი)
აუსტრია (ავსტრია) – პარმა (იტალია)
ვილიარეალი (ესპანეთი) – ალკმაარი (ჰოლანდია)

*ჩემპიონთა ლიგის ძალიან საინტერესო მეოთხედფინალების შემდეგ, არანაკლებ დაძაბული და მხიარული მატჩები გველის უეფას თასზე. განსაკუთრებულად გამოსარჩევი „ნიუკასლისა“ და „სპორტინგის“ დაპირისპირებაა. ევროპას შემორჩენილი ერთადერთი ესპანური კლუბი „ვილიარეალი“ წლევანდელ სეზონში ჩინებულად მოთამაშე „ალკმაარის“ წაქცევას შეეცდება. მოსკოვში, არმიელებს კი რუს „ოსერი“ სტუმრობს. ხოლო გათამაშების მთავარი აღმოჩენა ვენის „აუსტრია“ ტურნირის ერთ-ერთ ფავორიტს, „პარმას“ მიიღებს*

# ჩვენ უეფა გვინდა
## ვილიარეალი, უკანასკნელი მოჰიკანი


„ნიუკასლი“ — „სპორტინგი“ დეკემბერში უკვე იყო

### ნიუკასლი – სპორტინგი

ინგლისელთა რიგებში ყველაფერი მთლად წესრიგში რომ ვერ არის, გასულ უქმეებზეც კარგად გამოჩნდა. მოგეხსენებათ, ლი ბოიერმა და კირონ დაიერმა „ასტონ ვილასთან“ მატჩისას ერთმანეთში იჩხუბეს. მიუხედავად ამისა, ლისაბონელებთან მთელი გუნდი ტრადიციულად საბრძოლოდ არის განწყობილი და მხოლოდ მოგებაზე ფიქრობს.

„ჩვენ ყველანაირი პირობა გვაქვს შექმნილი და პრობლემები ძალით არ უნდა შევიქმნათ. ამ ტიტულის მოგება უნდა მოვახერხოთ და ამისთვის „სპორტინგის“ ძლევა აუცილებელია. გულშემატკივრების დიდი იმედი მაქვს. მჯერა, ისინი ტრადიციულად გვერდზე დაგვიდგებიან და ძალას შეგვმატებენ“ — თქვა „კაჭკაჭთა“ თავკაცმა გრემ სუნესმა.

ანალოგიური განწყობაა პორტუგალიელთა ბანაკშიც. მათი მეკარის, რიკარდუს თქმით, გუნდი მხოლოდ გამარჯვებაზე ფიქრობს და ამაზე იზრუნებს, მაგრამ ყველაფერი მაინც საპასუხო, ლისაბონურ მატჩში გადაწყდება.

„ჯორდებს“ პრობლემები აქვთ დაცვაში: ჟან-ალენ ბუმსონგს ამ სეზონში უეფას თასზე თამაშის უფლება აღარა აქვს, ხოლო სელესტინ ბაბაიარო და ტიტუს ბრამბლი დაშავებულები არიან. სამაგიეროდ, გუნდს უბრუნდება ახლად მომჯობინებული პატრიკ კლუივერტი.

„სენტ ჯეიმს პარკს“ დანაკლისით ეწვია „სპორტინგიც“. ლისაბონელები სავარაუდოდ ერთ-ერთ წამყვან ფორვარდს, რუდოლფ დუალას ვერ დაიხმარენ. გარდა ამისა, დაშავებულები არიან კუშტუდიუ და ჯოზეფ ენაკარჰირე. მაურისიო პინილიას მინდორზე გასვლა საოცუა, ხოლო უგო ვიანას თავისი კლუბის წინააღმდეგ თამაშის უფლება არა აქვს (მოგეხსენებათ, იგი „ნიუკასლის“ საკუთრებაა).

ბოლოს აღვნიშნოთ, რომ ეს კლუბები აქამდე სამჯერ შეხვდნენ ერთმანეთს. პირველად, შორეულ 1969 წელს, მაშინ ინგლისელებმა შინ 1:0 იმარჯვეს, ხოლო ლისაბონში მატჩი ფრედ 1:1 მორჩა. მათი ბოლო შეყრა მიმდინარე ტურნირის ჯგუფურ ეტაპზე შედგა, როდესაც ამავე სტადიონზე მეტოქეებმა თითო გოლი გაცვალეს. საინტერესოა, რომ ეს გახლავთ ერთადერთი შეხვედრა იმ 10 მატჩიდან, რომლის მოგებაც „ნიუკასლმა“ ამ გათამაშებაში ვერ შეძლო. „სპორტინგი“ კი იმით დაიკვეხნის, რომ უეფას თასზე ბოლო რვა გასვლით შეხვედრაში არ დამარცხებულა, ხოლო ინგლისში ბოლოს 1984 წელს წაუგია.

### ვილიარეალი – ალკმაარი

როგორც მოგახსენეთ, „ვილიარეალი“ ერთადერთი ესპანური კლუბია, რომელიც ევროთასებს შემორჩა და მანუელ პელეგრინის შეგირდები ყველანაირად შეეცდებიან, პირინეულ ფეხბურთს პრესტიჟი შეუნარჩუნონ.

მასპინძლები ტრავმირებულ ხავი ვენტას, ხუან მანუელ პენასა და კიკე ალვარესს ვერ დაიხმარენ, ხოლო ხავი კალეხას თამაში საეჭვოა. სტუმრებს კი მხოლოდ მარჯვენა განაპირა მცველი ჟორის მატიისენი არ ეყოლებათ.

აქვე აუცილებლად უნდა აღვნიშნოთ, რომ „ვილიარეალის“ ევროტურნირებზე დებიუტი მხოლოდ შარშან შედგა და კლუბმა უკვე რეკორდის გამეორება შეძლო — ესპანელებს 11 საშინაო მატჩში არც ერთი გოლი არ გაუშვიათ. აქამდე ასეთი რამ მხოლოდ ბუქარესტის „სტიაუამ“ მოახერხა 1963-66 წლებში. მიმდინარე გათამაშებაში კი „ვილიარეალმა“ „ელ მადრიგალზე“ გამართული ხუთივე შეხვედრა მოიგო.

### აუსტრია – პარმა

„პარმამ“ სერია A-ში მდგომარეობა შედარებით გამოისწორა და უეფას თასის მიმდინარე გათამაშებაში სავარაუდოდ, პირველად გავა მინდორზე ძირითადი შემადგენლობით.

„პარმა“ საკმაოდ ტიტულიანია, მაგრამ ამჟამად გუნდში მყოფი ფეხბურთელებიდან არც ერთს აქამდე, ასეთ მაღალ დონეზე არ გვითამაშია. სწორედ ამიტომ ვაქცევთ ამ მატჩს ორმაგ ყურადღებას“ — დასძინა აპენინელთა ლიდერმა ალბერტო ჯილარდინომ.

სტუმრებს მარკო მარკიონი და სტეფანო ბეტარინი დააკლდებიან, მათ ტრავმები აწუხებთ. ხოლო ვინჩენცო გრელა მხოლოდ პირველ შეხვედრას გამოტოვებს. რაც შეეხებათ ვენელებს, მათ ერთადერთი, სლოვაკი ნახევარმცველი ვლადიმირ იანოჩკო არ ეყოლებათ.

### ცსკა – ოსერი

მოსკოვის ცსკა-ს სერიოზულად აქვს გადაწყვეტილი უეფას თასის მოგება და შესაბამისად, არმიელები „ოსერთან“ მხოლოდ გამარჯვებას გეგმავენ.

ვალერი გაზაევის გუნდი მეტოქეს სრული შემადგენლობით ხვდება, ხოლო სტუმრებს გარკვეული პრობლემები აქვთ. მხცოვანი გი რუ თავის წამყვან ნახევარმცველ ბენუა შეიროუს ვერ დაიხმარს.

გარდა ამისა, ფრანგებს სამი ტრავმირებული მცველი — რენე ბოლფი, სტეფან გრიხტინგი და იოან რადე დააკლდებათ.

**გიორგი ქაქაბაძე**



კირონ დაიერსა და ლი ბოიერს ერთმანეთში ჩხუბი ძვირად დაუჯდათ

# ორივე დასაჯეს
## ბოიერი და დაიერი სკამზე

**გასულ** შაბათს, „სენტ ჯეიმს პარკის“ მინდორზე ერთმანეთთან მოჩხუბარ ნიუკასლელებს, ლი ბოიერსა და კირონ დაიერს ინგლისის ფეხბურთის ასოციაციამ უკვე გადაუწყვიტა სასჯელები: პირველს ოთხი, ხოლო მეორეს სამი თამაშის გამოტოვება მოუწევს.

ასე რომ, ასოციაციამ ყურად არ იღო „ნიუკასლის“ თხოვნა, დაიერი დამნაშავე არ იყო, ჩხუბი ბოიერმა წამოიწყო და ეგებ დაიერს, ასოციაციის თასის ნახევარფინალში, „მანჩესტერთან“ თამაშის ნება დაერთოთ.

ასეა თუ ისე, „ნიუკასლის“ სათასო და სალიგო თამაშები ამ ორი მთავარი ნახევარმცველის გარეშე ჩაივლის.

განსაკუთრებით სამძიმოა ასოციაციის თასის ნახევარფინალი „მანჩესტერის“ წინააღმდეგ. ეს სინანული უფრო დაიერს ეხება, თორემ ბოიერი ალბათ აღარასდროს გამოვა მინდორზე „ნიუკასლის“ სამოსით.

**ირაკლი გამყრელიძე**

# ფიფას ახალი სპონSONY

**კორპორაცია** „სონიმ“ და ფიფამ სპონსორობის შესახებ ხელშეკრულება გააფორმეს. ხელშეკრულების თანახმად, 2007-2014 წლებში „სონი“ მსოფლიო ფეხბურთის მმართველ ორგანიზაციას 305 მილიონი ევროთი გაამდიდრებს და გახდება ერთ-ერთი იმ კორპორაციათაგანი, რომელიც გაერთიანდება ჯგუფში სახელწოდებით „ფიფას პარტნიორები“. ამ ჯგუფში რახანია გაერთიანებულნი არიან ისეთი მონსტრები, როგორებიცაა — „ადიდასი“ და „ჰიუნდაი“, ხოლო კიდევ სამის ვინაობა ჯერ უცნობია.

„ბედნიერი და ამაყი ვარ, რომ ჩვენი პარტნიორი „სონია“ — განაცხადა ფიფას პრეზიდენტმა იოზეფ ბლატერმა. თავის მხრივ ფიფას შესახებ ტკბილად ილაპარაკა იაპონური კორპორაციის თავმჯდომარემ კაზუიუკი ნობუიუკიმაც.

**პაპუნა ქედია**

## ინგლისი

**ჩემპიონატი. XLI ტური**

**ძრიუ 1:2 დერბი**
0:1 რასიაკი (16), 0:1 სმიტი (74), 1:2 ვუგანი (90)

**იფსვიჩი 4:3 როტერჰემი**
1:0 ვესტლაიკი (6), 2:0 დ. ბენტი (25), 2:1 ტორპი (26), 3:1 დ. ბენტი (57), 4:1 მეჯილტონი (60), 4:2 ბატლერი (67), 4:3 მაკინტოში (79)

**ლიდსი 0:4 შეფილდი**
0:1 ვებერი (2), 0:2 მონტგომერი (30), 0:3, 0:4 გრეი (47, 74)

**ლესტერი 1:1 ვულვერჰემპტონი**
1:0 მაიბერი (73), 1:1 ლესკოტი (88)

**პლიმუთი 1:0 უოტფორდი**
1:0 ბუშაკი (10)

**პრესტონი 3:0 ბრაიტონი**
1:0 ალექსანდერი (31პ), 2:0 კროსველი (45), 3:0 ნაგენტი (51)

**ქუინზ პარკი 1:1 ჯილინგემი**
0:1 ფლინი (17), 1:1 ფურლონგი (54)

**სტოკი 1:3 კარდიფი**
0:1 ჯერომი (26), 1:1 ჰილი (40), 1:2 ჯერომი (58), 1:3 ტორნი (60პ)

**რედინგი 2:1 მილუოლი**
0:1 დიჩიო (39), 1:1 კიტსონი (73), 2:1 ფორსტერი (83)

**ბარნლი 0:1 ვესტ ჰემი**
0:1 შერინგემი (83)

**უიგანი 0:1 სანდერლენდი**
0:1 სტიუარტი (3)

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| სანდერლენდი | 41 | 26 | 6 | 9 | 68:35 | 84 |
| იფსვიჩი | 41 | 23 | 10 | 8 | 76:49 | 79 |
| უიგანი | 41 | 22 | 10 | 9 | 71:33 | 76 |
| პრესტონი | 41 | 19 | 11 | 11 | 59:51 | 68 |
| რედინგი | 41 | 17 | 13 | 11 | 46:36 | 64 |
| დერბი | 40 | 18 | 10 | 12 | 60:51 | 64 |
| ვესტ ჰემი | 40 | 18 | 8 | 14 | 56:50 | 62 |
| შეფილდი | 40 | 17 | 11 | 12 | 51:47 | 62 |
| ქუინზ პარკი | 40 | 16 | 9 | 15 | 49:50 | 57 |
| მილუოლი | 41 | 15 | 10 | 16 | 43:40 | 55 |
| სტოკი | 40 | 15 | 10 | 15 | 31:32 | 55 |
| ლიდსი | 41 | 13 | 15 | 13 | 45:47 | 54 |
| ვულვზი | 41 | 11 | 20 | 10 | 60:54 | 53 |
| ბარნლი | 40 | 13 | 13 | 14 | 33:36 | 52 |
| ლესტერი | 39 | 10 | 18 | 11 | 43:40 | 48 |
| პლიმუთი | 41 | 13 | 9 | 19 | 48:59 | 48 |
| კარდიფი | 40 | 11 | 13 | 16 | 43:44 | 46 |
| ქრიუ | 41 | 11 | 13 | 17 | 59:73 | 46 |
| უოტფორდი | 41 | 10 | 15 | 16 | 48:55 | 45 |
| ქოვენთრი | 40 | 11 | 11 | 18 | 49:63 | 44 |
| ჯილინგემი | 41 | 11 | 11 | 19 | 40:60 | 44 |
| ბრაიტონი | 41 | 12 | 8 | 21 | 34:60 | 44 |
| ნოტინგემი | 39 | 8 | 15 | 16 | 37:55 | 39 |
| როტერჰემი | 41 | 5 | 13 | 23 | 34:63 | 28 |

## Copa Toyota Libertadores '2005

## ლიბერტადორესის თასი 2004

**VI ჯგუფი. IV ტური**

**კარაკასი (ვენესუელა) 2:0 ალიანსა (პერუ)**

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| ტიგრესი (მექსიკა) | 3 | 1 | 2 | 0 | 5:3 | 5 |
| ბანფილდი (არგენტინა) | 3 | 1 | 2 | 0 | 6:5 | 5 |
| კარაკასი (ვენესუელა) | 4 | 1 | 1 | 2 | 5:6 | 4 |
| ალიანსა (პერუ) | 4 | 1 | 1 | 2 | 4:6 | 4 |

**VII ჯგუფი. IV ტური**

**სან ლორენსო (არგენტინა) 0:0 გვადალახარა (მექსიკა)**
**ონსე კალდასი (კოლუმბია) 0:0 კობრელოა (ჩილე)**

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| გვადალახარა (მექსიკა) | 4 | 2 | 2 | 0 | 5:2 | 8 |
| კობრელოა (ჩილე) | 4 | 1 | 2 | 1 | 3:4 | 5 |
| ონსე კალდასი (კოლუმბია) | 4 | 0 | 3 | 1 | 1:2 | 3 |
| სან ლორენსო (არგენტინა) | 4 | 0 | 3 | 1 | 1:2 | 3 |

# ივან ელგერა:
# გინდა მაზი პატივცემული? დადექი რეალზე

*კვირას ესპანეთში დიდი დერბია — „რეალი“ — „ბარსელონა“.*
*თქმა არ უნდა, ეს მარტო სამი ქულისთვის მატჩი არაა, კასტილიურ-კატალონიურ დაპირისპირებას სულ სხვა დატვირთვაც აქვს, ოდითგანვე ასე იყო.*
*ოღონდ მაგათ მოუგეთ და თუ გინდათ, ჩემპიონებიც ნუ გამხდარხართ — ასეთი პათოსი ორივე გუნდის თავგადაკლული ქომაგებისგან ბევრჯერ გვსმენია.*
*ბევრს არ გავაგრძელებთ: „რეალის“ მცველ-ნახევარმცველ ივან ელგერასთან ინტერვიუს გთავაზობთ, რომელიც მადრიდულმა „ასმა“ დაბეჭდა.*
*რა, რა და ელგერას კარგად ესმის, თუ რას ნიშნავს „ბარსელონასთან“ თამაში...*



**— ბოლო დროს მშვენივრად თამაშობთ, გოლებიც გაგაქვთ...**

— ასე მჩვევია. არ ვიცი რატომ, მაგრამ სეზონის მიწურულს თავს ყოველთვის გაცილებით უკეთ ვგრძნობ, ვიდრე ჩემპიონატის დასაწყისში.

**— წინა ტურში, „ალბასეტესთან“ თქვენმა და მაიკლ ოუენის გოლებმა „რეალს“ ჩემპიონობაზე ოცნება კვლავ დაუტოვა. ასეა?**

— ხალხი ხშირად ლიდერ გუნდს ჩემპიონობას წინასწარ მიაკუთვნებს-ხოლმე, მაგრამ, ისიც ხომ ცხადია, „ბარსამ“ უკანასკნელ მატჩებში რომ წაიბორძიკა? სამწუხაროდ, მათი შეცდომები ჩვენ ვერ გამოვიყენეთ... წინ კიდევ ბევრი ტურია დარჩენილი. ახლა მოახლოებულ დერბიზეც გეტყვით: მოგებას ყველანაირად ვეცდებით. თუ გავიმარჯვეთ, მეტოქე ანერვიულდება და... მოკლედ, კაცმა იმედი არასოდეს არ უნდა დაკარგო.

**— ანუ „რეალის“ ჩემპიონობისა კიდევ გჯერათ?**

— რაც გინდათ თქვით, მე კი ჩემი გუნდის ოქრომედალოსნობაში ეჭვს ვერ შევიტან. „ბარსას“ ძალიან გაუძნელდება მთელი სეზონის ერთ დონეზე ჩატარება. აშკარაა, გუნდი გადაღლილია და დღეს უკვე სამი ქულის მოპოვება უკიდურესად უჭირს. მათი თამაში ის არაა, რაც ადრე იყო და რასაც ყველაზე მეტად ჩვენ ვამჩნევთ.

**— ვინ უფრო მხნედ ხვდება ამ დერბის, მადრიდი თუ ბარსელონა?**

— განა არ გითხარით, რომ კვირას უკანასკნელ სისხლის წვეთამდე ვიბრძოლებთ? თითოეული ჩვენგანი „სანტიაგო ბერნაბეუზე“ ყველაფერს დადებს. ეს მატჩი „რეალისთვის“ ჩემპიონთა ლიგის ფინალის ტოლფასია... არ აქვს მნიშვნელობა, თუ როგორ მოვიგებთ. მთავარია, მოვიგოთ. თამაში ჩვენს სტადიონზეა და ინჩასობაც უცილობელ გამარჯვებას მოგვთხოვს. საკუთარი კედლების ფაქტორი ძალიან მნიშვნელოვანია.

**— პინო სამორანოს მსაჯობაზე გკითხავთ. ამ არბიტრმა „ბარსელონა“ — „ბეტისის“ ამასწინანდელ შეხვედრაში მასპინძელთა სასარგებლოდ უხეში შეცდომები დაუშვა...**

— მსაჯად ყოფნა ძნელია, მაგრამ რაც პინო სამორანომ გააკეთა, ვეჭვობ, „ბეტისის“ ან „რეალის“ გულშემატკივრებს მოსწონებოდათ.

**— მაგრამ, არბიტრები „რეალსაც“ ხშირად „მფარველობენ“...**

— მსაჯებს შეცდომები ყველა გუნდთან მიმართებაში მოსდით და არა მარტო ჩვენს სასარგებლოდ, როგორც ხალხს ჰგონია. იგივე პინო სამორანო გაიხსენეთ.

**— „ბარსას“ წინააღმდეგ, „რეალის“ დაცვაში სავარაუდოდ, თქვენი და პავონის წყვილი ითამაშებს. ფრანსისკ პავონზე რას გვეტყვით?**

— პავონთან ერთად ბევრჯერ მითამაშია. მას უკვე აქვს საკმაო გამოცდილება. პრობლემას ვერ ვხედავ, რადგანაც პაკო კარგი ბიჭია და ჩინებული ცენტრალური მცველი.

**— ვისი უფრო გეშინიათ, ეტოოსი თუ რონალდინიოსი?**

— არავის არ ვუფრთხით. თუკი რამესი მეშინია, მხოლოდ იმის, რომ ჩვენ არ ჩავაგდოთ მატჩი. თუ კარგად ვიბურთავებთ, სულერთია, მეტოქეს ვინ ეყოლება, ეტოო, რონალდინიო თუ სხვა ვინმე. მიმაჩნია, რომ „რეალი“ „ბარსაზე“ უკეთეს ფეხბურთს ნამდვილად თამაშობს და მიუხედავად იმისა, რომ სატურნირო ცხრილი საპირისპიროზე მეტყველებს, „ბერნაბეუზე“ ჩემი ნათქვამის სისწორეს დავამტკიცებთ.

**— და, მატჩის ბედს რა გადაწყვეტს? გუნდი, რომელსაც ბურთი მეტხანს ექნება?**

— არა, რადგან „ბარსელონამ“ „ბეტისსაც“ აჯობა ბურთის ფლობაში და „ატლეტიკოსაც“ მაგრამ ეს მატჩები კატალონიელთა გამარჯვებით არ დასრულებულა. ელ კლასიკოს ბედს მცველები გადაწყვეტენ — ვინც უფრო ფხიზლად იქნება, მისი გუნდი მოიგებს.

**— თუ „რეალმა“ მოიგო, „ბარსელონას“ მარცხი ჩემპიონობისკენ სვლაში ხელს შეუშლის?**

— ხომ ვთქვი, წინ კიდევ ბევრი თამაშია-მეთქი დარჩენილი. ჯიო ვან ბრონკჰორსტის გამთანაბრებელმა გოლმა „ბეტისთან“ ძალიან დაგვწყვიტა გული მაგრამ ეგ არაფერი...

**— „რეალის“ ინჩასობას რას ეტყოდით?**

— იმას, რომ ვეცდებით, მათი იმედები გავამართლოთ. უბრალოდ, წარმოუდგენელია, ხალხს ერთგულებაზე პასუხი ცუდი თამაშით გასცე.

**— თქვენი ნება რომ იყოს, ფსონს „რეალის“ მოგებაზე ჩახვიდოდით?**

— აუცილებლად, ნაღდ ერთიანს მოვხაზავდი. ისე კი მჯერა, რომ ძალიან დაძაბული და სანახაობრივად ლამაზი მატჩი იქნება.




**ივან ელგერას „ბარსელონასთან“ თანაგუნდელების ემედება**




**იტალიურმა** „მილანმა“ თავის პორტუგალიელ ნახევარმცველ მანუელ რუი კოშტასთან კონტრაქტი 2007 წლამდე გაახანგრძლივა. „კარიერას ალბათ „მილანში“ დავასრულებ, რაც ძალიან მახარებს. მართლაც ჩინებული გუნდი გვყავს და ვეცდები, თავი გამოვიჩინო“ — განაცხადა 33 წლის რუი კოშტამ.

**ესპანური** „სევილიას“ **მცველი ხავი ნავარო „მალიორკას“ ფორვარდ ხუან არანგოსთან უხეშობის გამო ქვეყნის ფეხბურთის ფედერაციამ ხუთმატჩიანი დისკვალიფიკაციით დასაჯა.** შეგახსენებთ, **რომ ნავაროს უხეშობის გამო არანგოს სულ ცოტა, ერთი თვე მოუწევს დასვენება.**

**ჰოლანდიური** „ფეიენოორდი“ ევროთასების მომავალ საშინაო მატჩს ცარიელი ტრიბუნების წინაშე გამართავს. როტერდამელი გულშემატკივრები უეფას თასის მიმდინარე გათამაშებაში პორტუგალიური „სპორტინგის“ წინააღმდეგ ცუდად მოიქცნენ, რისთვისაც უეფასგან 20 600 დოლარითა და ერთმატჩიანი დისკვალიფიკაციით დაჯარიმდნენ.

**იტალიური „რომას“ ერთ-ერთი ლიდერი ანტონიო კასანო ვარჯიშისას დაშავდა და სავარაუდოდ მომავალ უქმეებზე, „უდინეზეს“ წინააღმდეგ ვერ ითამაშებს. ამ ინფორმაციამ ორმაგად დაამწუხრა დედაქალაქელთა თავკაცი ბრუნო კონტი, რომელიც დისკვალიფიკაციების გამო ისედაც ვერ დაიხმარს ფრანჩესკო ტოტის, სიმონე პეროტასა და კრისტიან პანუჩის.**

**შოტლანდიურმა** „სელტიკმა“ დ ჟუნინიო პაულისტამ ურთიერთნეთთან კონტრაქტი გაწყვიტეს და 32 წლის ბრაზილიელი სავარაუდოდ მალე სამშობლოში დაბრუნდება. „მასზე დიდ იმედებს ვამყარებდით და ძალიან სამწუხაროა, რომ ჟუნინიო გუნდს ვერ მოერგო“ — აღნიშნა გლაზგოელთა თავკაცმა მარტინ ონილმა.

**რუმინეთის ფეხბურთის ფედერაციამ ყველასთვის მოულოდნელად ევროპის 2012 წლის ჩემპიონატის შესაძლო მასპინძლობაზე უარი თქვა. მიზეზი ფინანსური პრობლემები ყოფილა. გავრცელებული ცნობით, ახლა ევრო 2012-ის მასპინძლობის უმთავრესი კანდიდატი იტალიაა.**

**იტალიური** „ლაციოს“ ფორვარდ ტომაზო როკის გუნდში დარჩენა სურს. შეგახსენებთ, რომ იგი სანახევროდ სერია **B**-ს ბინადარ „ემპოლის“ საკუთრებაა. „იმედია, მხარეები ყველაფერზე მალე მოილაპარაკებენ. „ლაციოს“ გარდა სხვა გუნდში თამაში უკვე ვეღარც წარმომიდგენია“ — თქვა როკიმ.

**შვედმა ფორვარდმა ჰენრიკ ლარსონმა „ბარსელონასთან“** ახალი **ორწლიანი კონტრაქტი გააფორმა. „დიდი მადლობა კლუბის ხელმძღვანელობას ასეთ მძიმე წუთებში გვერდით დგომისთვის.** ვფიქრობ, მაღალ დონეზე თამაშს კიდევ 2-3 წელიწადს შევძლებ“ — თქვა 33 წლის ლარსონმა.

**პორტუგალიური** „მორეირენსეს“ ახალ მწვრთნელად ჟორჟე ჟესუსი დაინიშნა. მან გასულ სეზონში „გიმარაეში“ გადაარჩინა ლიგიდან გავარდნას და ახლა იგივეს გაკეთებას „მორეირენსესთან“ ერთად შეეცდება.

**იტალიელი მწვრთნელი ჯოვანი ტრაპატონი შესაძლოა, მომავალ სეზონში სამშობლოში დაბრუნდეს. ლისაბონის „ბენფიკას“ ამჟამინდელ თავკაცს რომის „ლაციო“ ეპატიჟება და როგორც ამბობენ, 66 წლის სპეციალისტი დედაქალაქელთა წინადადებაზე სავარაუდოდ უარს არ იტყვის.**

**ინგლისური** „ჩელსის“ თავკაც ჟოზე მაურინიოს ლონდონური კლუბის უფროსობა ახალ კონტრაქტს სთავაზობს, რომლის მიხედვითაც პორტუგალიელი 2010 წლამდე იქნება „ჩელსის“ მწვრთნელი და სეზონში 5,2 მილიონ გირვანქას მიიღებს ხელფასის სახით. პორტუგალიელი სპეციალისტი გადაწყვეტილებას ამ კვირასვე მიიღებს.

**ფრანგული „ლიონი“ მალე ალბათ თავის ლიდერ ჟუნინიო პერნამბუკანოსთან გააფორმებს ახალ შეთანხმებას. „მე აქ ყველაფერი მაკმაყოფილებს და რამის შეცვლის მიზეზს ვერ ვხედავ. ამიტომ გუნდში სიამოვნებით დავრჩები“ — განმარტა 30 წლის ჟუნინიომ.**

**გერმანული** „ბაიერნის“ ნახევარმცველმა ზე რობერტომ აღნიშნა, რომ მზად არის, „რომაში“ გადავიდეს. „მათ შესანიშნავი კლუბი ჰყავთ და თუ ჩემს ყიდვას მართლაც ისურვებენ, რომაელთა წინადადებას სიამოვნებით მივიღებ“ — განმარტა ბრაზილიელმა, რომელიც სეზონის ბოლოს 90 პროცენტით მიუნხენელთა რიგებს დატოვებს

**ინგლისური „მიდლსბროს“ ავსტრალიელი ფორვარდი მარკ ვიდუკა სეზონის ბოლოს გუნდიდან წასვლაზე ალაპარაკდა. „ლიდსიდან“ აქ რომ გადმოვდიოდი, ვიმედოვნებდი რომ „ბოროს“ გამოვადგებოდი, მაგრამ სამწუხაროდ მწვრთნელი სტივ მაკლარენი არ მენდობა. რაკი ძირითადში არ მათამაშებს, ესე იგი, არ ვჭირდები. ვერ გამიგია, მაკლარენი ასე რატომ მექცევა. მას აუცილებლად დაველაპარაკები და საბოლოო სიტყვასაც მერე ვიტყვი, წავალ თუ არა „მიდლსბროდან“ — განაცხადა გულმოკლულმა ვიდუკამ.**

## ინგლისი. პრემიერლიგა

| დრო | № | მატჩი | 1 | X | 2 | 1-X | 1-2 | X-2 |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| | | **9 აპრილი** | | | | | | |
| 18:00 | 1 | ბლექბერნი-საუთჰემპტონი | 2.0 | 3.2 | 3.6 | 1.23 | 1.28 | 1.69 |
| 18:00 | 2 | ბოლტონი-ფულჰემი | 1.8 | 3.3 | 4.3 | 1.16 | 1.26 | 1.86 |
| 18:00 | 3 | ჩელსი-ბირმინგემი | 1.25 | 5.5 | 9.5 | 1.01 | 1.1 | 3.48 |
| 18:00 | 4 | ჩელსი-ბირმინგემი 0:1 | 1.5 | 4.2 | 3.6 | | | |
| 18:00 | 5 | სიტი-ლივერპული | 2.8 | 3.2 | 2.35 | 1.49 | 1.27 | 1.35 |
| 18:00 | 6 | მიდლსბრო-არსენალი | 4.5 | 3.4 | 1.75 | 1.93 | 1.25 | 1.15 |
| 18:00 | 7 | პორტსმუთი-ჩარლტონი | 2.4 | 3.2 | 2.75 | 1.37 | 1.28 | 1.47 |
| 20:15 | 8 | ნორვიჩი-მანჩესტერი | 7.5 | 3.7 | 1.45 | 2.47 | 1.21 | 1.04 |
| 20:15 | 9 | ნორვიჩი-მანჩესტერი 1:0 | 2.5 | 3.5 | 2.1 | | | |
| | | **10 აპრილი** | | | | | | |
| 15:00 | 10 | ასტონ ვილა-ვესტ ბრომვიჩი | 1.75 | 3.3 | 4.5 | 1.14 | 1.25 | 1.9 |
| 18:00 | 11 | ევერტონი-კრისტალ პალასი | 1.6 | 3.5 | 5.5 | 1.09 | 1.23 | 2.13 |
| 19:05 | 12 | ტოტენჰემი-ნიუკასლი | 2.1 | 3.2 | 3.35 | 1.26 | 1.29 | 1.63 |

## ინგლისი. ჩემპიონატი

| დრო | № | მატჩი | 1 | X | 2 | 1-X | 1-2 | X-2 |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| | | **9 აპრილი** | | | | | | |
| 15:45 | 25 | სანდერლენდი-რიდინგი | 1.6 | 3.4 | 4.9 | 1.08 | 1.2 | 2.0 |
| 18:00 | 26 | უოტფორდი-ლიდსი | 2.45 | 3.2 | 2.5 | 1.38 | 1.23 | 1.4 |
| 18:00 | 27 | ვესტ ჰემი-ქოვენტრი | 1.65 | 3.4 | 4.5 | 1.11 | 1.2 | 1.93 |
| 18:00 | 28 | როტერჰემი-პრესტონი | 3.8 | 3.4 | 1.8 | 1.79 | 1.22 | 1.17 |
| 18:00 | 29 | ბრაიტონი-ლესტერი | 2.4 | 3.3 | 2.5 | 1.38 | 1.22 | 1.42 |
| 18:00 | 30 | კარდიფი-უიგანი | 3.0 | 3.3 | 2.1 | 1.57 | 1.23 | 1.28 |
| 18:00 | 31 | დერბი-სტოუკი | 1.75 | 3.3 | 4.3 | 1.14 | 1.24 | 1.86 |
| 18:00 | 32 | გილინგემი-ბერნლი | 2.0 | 3.3 | 3.2 | 1.24 | 1.23 | 1.62 |
| 18:00 | 33 | მილუოლი-ქრიუ | 1.75 | 3.3 | 4.2 | 1.14 | 1.23 | 1.84 |
| 18:00 | 34 | ნოტინგემი-პლიმუთი | 1.95 | 3.3 | 3.3 | 1.22 | 1.22 | 1.64 |
| 18:00 | 35 | შეფილდი-ქპრ | 1.8 | 3.4 | 3.8 | 1.17 | 1.22 | 1.79 |
| | | **11 აპრილი** | | | | | | |
| 22:45 | 36 | ვულვერჰემპტონი-იფსვიჩი | 2.65 | 3.1 | 2.4 | 1.42 | 1.25 | 1.35 |

## ინგლისი. I ლიგა

| დრო | № | მატჩი | 1 | X | 2 | 1-X | 1-2 | X-2 |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| | | **8 აპრილი** | | | | | | |
| 22:45 | 40 | ტრანმერი-სტოკპორტი | 1.3 | 4.3 | 8.0 | 1.0 | 1.11 | 2.79 |
| | | **9 აპრილი** | | | | | | |
| 18:00 | 41 | ბლეკპული-პიტერბორო | 1.65 | 3.4 | 4.5 | 1.11 | 1.2 | 1.93 |
| 18:00 | 42 | ბორნმუთი-ლუტონი | 2.65 | 3.3 | 2.3 | 1.46 | 1.23 | 1.35 |
| 18:00 | 43 | ბრენტფორდი-ბრისტოლი | 2.0 | 3.3 | 3.2 | 1.24 | 1.23 | 1.62 |
| 18:00 | 44 | ჩესტერფილდი-ჰარტლპული | 2.5 | 3.3 | 2.4 | 1.42 | 1.22 | 1.38 |
| 18:00 | 45 | ჰადერსფილდი-დონკასტერი | 2.05 | 3.3 | 3.1 | 1.26 | 1.23 | 1.59 |
| 18:00 | 46 | ოლდემი-უოლსოლი | 2.65 | 3.2 | 2.35 | 1.44 | 1.24 | 1.35 |
| 18:00 | 47 | პორტ ვეილი-კოლჩესტერი | 2.1 | 3.3 | 3.0 | 1.28 | 1.23 | 1.57 |
| 18:00 | 48 | სვინდონი-ბარნსლი | 1.7 | 3.3 | 4.5 | 1.12 | 1.23 | 1.9 |
| 18:00 | 49 | ტორკი-დონსი | 2.3 | 3.2 | 2.7 | 1.33 | 1.24 | 1.46 |
| | | **10 აპრილი** | | | | | | |
| 16:00 | 50 | ბრედფორდი-ჰალი | 2.75 | 3.2 | 2.25 | 1.47 | 1.23 | 1.32 |

## ინგლისი. II ლიგა

| დრო | № | მატჩი | 1 | X | 2 | 1-X | 1-2 | X-2 |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| | | **8 აპრილი** | | | | | | |
| 22:45 | 52 | ჩელტენჰემი-შრუსბერი | 1.8 | 3.3 | 3.8 | 1.16 | 1.22 | 1.76 |
| | | **9 აპრილი** | | | | | | |
| 18:00 | 53 | ჩესტერი-ბოსტონი | 2.3 | 3.2 | 2.7 | 1.33 | 1.24 | 1.46 |
| 18:00 | 54 | გრიმსბი-უიკომი | 2.45 | 3.2 | 2.5 | 1.38 | 1.23 | 1.4 |
| 18:00 | 55 | კიდერმინსტერი-ბერი | 2.3 | 3.3 | 2.65 | 1.35 | 1.23 | 1.46 |
| 18:00 | 56 | ნორთჰემპტონი-სკანთორპი | 2.2 | 3.3 | 2.8 | 1.32 | 1.23 | 1.51 |
| 18:00 | 57 | როჩდეილი-ლეიტონი | 1.95 | 3.2 | 3.5 | 1.21 | 1.25 | 1.67 |
| 18:00 | 58 | იოვილი-მაკლსფილდი | 1.6 | 3.4 | 4.9 | 1.08 | 1.2 | 2.0 |
| 18:00 | 59 | ლინკოლნი-სვონსი | 2.25 | 3.3 | 2.7 | 1.33 | 1.22 | 1.48 |
| 18:00 | 60 | რაშდენი-საუთენდი | 1.95 | 3.3 | 3.3 | 1.22 | 1.22 | 1.64 |
| 18:00 | 61 | კემბრიჯი-დარლინგტონი | 3.0 | 3.2 | 2.1 | 1.54 | 1.23 | 1.26 |
| 18:00 | 62 | ოქსფორდი-ნოტსი | 1.95 | 3.3 | 3.3 | 1.22 | 1.22 | 1.64 |

## ინგლისი. კონფერენსი

| დრო | № | მატჩი | 1 | X | 2 | 1-X | 1-2 | X-2 |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| | | **9 აპრილი** | | | | | | |
| 18:00 | 69 | ექსეტერი-ნორთვიჩი | 1.6 | 3.5 | 4.8 | 1.09 | 1.2 | 2.02 |
| 18:00 | 70 | გრეივზენდი-მორკემბი | 2.45 | 3.3 | 2.5 | 1.4 | 1.23 | 1.42 |
| 18:00 | 71 | ჰერეფორდი-იორკი | 1.5 | 3.5 | 6.0 | 1.04 | 1.2 | 2.21 |
| 18:00 | 72 | ლი-უოკინგი | 4.4 | 3.5 | 1.65 | 1.94 | 1.2 | 1.12 |
| 18:00 | 73 | სკარბორო-ფარნბორო | 1.45 | 3.8 | 5.8 | 1.04 | 1.15 | 2.29 |
| 18:00 | 74 | ტამუორთი-კანვეი | 1.85 | 3.5 | 3.4 | 1.21 | 1.19 | 1.72 |
| 18:00 | 75 | აკრინგტონი-სტივენიჯი | 2.2 | 3.2 | 2.85 | 1.3 | 1.24 | 1.5 |
| 18:00 | 76 | ალდერშოტი-ქროული | 1.8 | 3.5 | 3.6 | 1.18 | 1.2 | 1.77 |
| 18:00 | 77 | ბარნეტი-ჰალიფაქსი | 1.8 | 3.5 | 3.6 | 1.18 | 1.2 | 1.77 |
| 18:00 | 78 | კარლაილი-ფორესტ გრინი | 1.4 | 4.0 | 6.5 | 1.03 | 1.15 | 2.47 |

## შოტლანდია. პრემიერლიგა

| დრო | № | მატჩი | 1 | X | 2 | 1-X | 1-2 | X-2 |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| | | **9 აპრილი** | | | | | | |
| 18:00 | 79 | აბერდინი-მაზერველი | 1.75 | 3.3 | 4.25 | 1.14 | 1.23 | 1.85 |
| 18:00 | 80 | დანდი-დანდი იუნაიტედი | 1.9 | 3.3 | 3.6 | 1.2 | 1.24 | 1.72 |
| 18:00 | 81 | კილმარნოკი-ინვერნესი | 1.95 | 3.1 | 3.4 | 1.19 | 1.23 | 1.62 |

## შოტლანდია. I დივიზიონი

| დრო | № | მატჩი | 1 | X | 2 | 1-X | 1-2 | X-2 |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| | | **9 აპრილი** | | | | | | |
| 18:00 | 82 | ფოლკირკი-როსი | 1.55 | 3.6 | 5.0 | 1.08 | 1.18 | 2.09 |
| 18:00 | 83 | ჰამილტონი-ერდრი | 2.2 | 3.4 | 2.7 | 1.33 | 1.21 | 1.5 |
| 18:00 | 84 | რეითი-პარტიკი | 3.3 | 3.5 | 1.9 | 1.69 | 1.2 | 1.23 |
| 18:00 | 85 | სტ.ჯონსტონი-კლაიდი | 2.3 | 3.3 | 2.6 | 1.35 | 1.22 | 1.45 |
| 18:00 | 86 | სტ.მირენი-ქუინი | 2.1 | 3.4 | 2.8 | 1.29 | 1.2 | 1.53 |

## შოტლანდია. II დივიზიონი

| დრო | № | მატჩი | 1 | X | 2 | 1-X | 1-2 | X-2 |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| | | **9 აპრილი** | | | | | | |
| 18:00 | 87 | ალოა-არბროთი | 2.1 | 3.4 | 2.8 | 1.29 | 1.2 | 1.53 |
| 18:00 | 88 | აირი-სტირლინგი | 2.4 | 3.4 | 2.35 | 1.4 | 1.18 | 1.38 |
| 18:00 | 89 | ბერვიკი-სტრანრაერი | 2.55 | 3.3 | 2.3 | 1.43 | 1.2 | 1.35 |
| 18:00 | 90 | დამბარტონი-ბრეჩინი | 2.95 | 3.3 | 2.05 | 1.55 | 1.2 | 1.26 |
| 18:00 | 91 | ფორფარი-მორტონი | 2.75 | 3.3 | 2.15 | 1.5 | 1.2 | 1.3 |

## შოტლანდია. III დივიზიონი

| დრო | № | მატჩი | 1 | X | 2 | 1-X | 1-2 | X-2 |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| | | **9 აპრილი** | | | | | | |
| 18:00 | 92 | ალბიონი-კოუდენბითი | 2.3 | 3.3 | 2.55 | 1.35 | 1.2 | 1.43 |
| 18:00 | 93 | ისტ ფაიფი-ელგინი | 2.1 | 3.3 | 2.85 | 1.28 | 1.2 | 1.52 |
| 18:00 | 94 | გრეტნა-სტენჰაუსმუირი | 1.2 | 5.5 | 9.0 | 1.0 | 1.05 | 3.41 |
| 18:00 | 95 | მონტროუზი-ისტ სტირლინგი | 1.55 | 3.6 | 4.7 | 1.08 | 1.16 | 2.03 |
| 18:00 | 96 | პიტერჰედი-ქუინზ პარკი | 1.45 | 4.0 | 5.3 | 1.06 | 1.13 | 2.27 |

## გერმანია. I ბუნდესლიგა

| დრო | № | მატჩი | 1 | X | 2 | 1-X | 1-2 | X-2 |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| | | **9 აპრილი** | | | | | | |
| 17:30 | 97 | შტუტგარტი-შალკე | 2.25 | 3.3 | 2.8 | 1.33 | 1.24 | 1.51 |
| 17:30 | 98 | ბაიერნი-გლადბახი | 1.25 | 5.5 | 9.0 | 1.01 | 1.09 | 3.41 |
| 17:30 | 99 | ბაიერნი-გლადბახი 0:1 | 1.7 | 4.0 | 3.4 | | | |
| 17:30 | 100 | ბოხუმი-ჰანოვერი | 2.1 | 3.3 | 3.2 | 1.28 | 1.26 | 1.62 |
| 17:30 | 101 | ჰამბურგი-ვერდერი | 2.5 | 3.3 | 2.55 | 1.42 | 1.26 | 1.43 |
| 17:30 | 102 | ჰერტა-ფრაიბურგი | 1.3 | 4.8 | 9.0 | 1.02 | 1.13 | 3.13 |
| 17:30 | 103 | ჰერტა-ფრაიბურგი 0:1 | 1.75 | 4.2 | 3.1 | | | |
| 17:30 | 104 | ლევერკუზენი-დორტმუნდი | 1.8 | 3.3 | 4.3 | 1.16 | 1.26 | 1.86 |
| 17:30 | 105 | მაინცი-ვოლფსბურგი | 2.1 | 3.3 | 3.2 | 1.28 | 1.26 | 1.62 |
| | | **10 აპრილი** | | | | | | |
| 19:30 | 106 | ნიურნბერგი-ჰანზა | 2.1 | 3.3 | 3.2 | 1.28 | 1.26 | 1.62 |
| 19:30 | 107 | არმინია-კაიზერსლაუტერნი | 2.15 | 3.3 | 3.1 | 1.3 | 1.26 | 1.59 |

## გერმანია. II ბუნდესლიგა

| დრო | № | მატჩი | 1 | X | 2 | 1-X | 1-2 | X-2 |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| | | **8 აპრილი** | | | | | | |
| 21:00 | 114 | დინამო-მიუნხენი 1860 | 2.5 | 3.2 | 2.55 | 1.4 | 1.26 | 1.41 |
| 21:00 | 117 | კოტბუსი-ტრიერი | 1.9 | 3.2 | 3.65 | 1.19 | 1.24 | 1.7 |
| 21:00 | 119 | საარბრუკენი-ესენი | 2.05 | 3.2 | 3.1 | 1.24 | 1.23 | 1.57 |
| | | **10 აპრილი** | | | | | | |
| 17:00 | 112 | ბურგჰაუზენი-აუე | 2.2 | 3.2 | 2.95 | 1.3 | 1.26 | 1.53 |
| 17:00 | 113 | დუისბურგი-ერფურტი | 1.35 | 4.2 | 7.0 | 1.02 | 1.13 | 2.62 |
| 17:00 | 115 | აინტრახტი-უნტერჰახინგი | 1.5 | 3.6 | 5.6 | 1.05 | 1.18 | 2.19 |
| 17:00 | 116 | კარლსრუე-ალენი | 1.95 | 3.2 | 3.4 | 1.21 | 1.23 | 1.64 |
| 17:00 | 118 | ობერჰაუზენი-ალემანია | 2.75 | 3.2 | 2.3 | 1.47 | 1.25 | 1.33 |
| | | **11 აპრილი** | | | | | | |
| 22:15 | 120 | კიოლნი-ფიურტი | 1.7 | 3.3 | 4.5 | 1.12 | 1.23 | 1.9 |

## შვეიცარია. ჩელენჯლიგა

| დრო | № | მატჩი | 1 | X | 2 | 1-X | 1-2 | X-2 |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| | | **7 აპრილი** | | | | | | |
| 21:30 | 176 | შო დე ფონი-ვინტერთური | 2.25 | 3.3 | 2.7 | 1.33 | 1.22 | 1.48 |
| 21:30 | 177 | ბიელი-სიონი | 2.55 | 3.2 | 2.4 | 1.41 | 1.23 | 1.37 |

## იტალია. სერია A

| დრო | № | მატჩი | 1 | X | 2 | 1-X | 1-2 | X-2 |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| | | **9 აპრილი** | | | | | | |
| 20:00 | 186 | მილანი-ბრეშა | 1.2 | 5.5 | 12.0 | 1.0 | 1.09 | 3.77 |
| 20:00 | 187 | მილანი-ბრეშა 0:1 | 1.5 | 4.5 | 4.0 | | | |
| 20:00 | 188 | ბოლონია-ინტერი | 3.0 | 2.9 | 2.4 | 1.47 | 1.33 | 1.31 |
| 22:30 | 190 | ფიორენტინა-იუვენტუსი | 4.8 | 3.2 | 1.75 | 1.91 | 1.28 | 1.13 |
| | | **10 აპრილი** | | | | | | |
| 17:00 | 192 | ატალანტა-კიევო | 2.15 | 3.2 | 3.2 | 1.28 | 1.28 | 1.6 |
| 17:00 | 193 | კალიარი-სამპდორია | 2.35 | 2.8 | 3.2 | 1.27 | 1.35 | 1.49 |
| 17:00 | 194 | ლაციო-ლივორნო | 1.7 | 3.2 | 5.3 | 1.11 | 1.28 | 1.99 |
| 17:00 | 195 | ლეჩე-სიენა | 1.95 | 3.2 | 3.7 | 1.21 | 1.27 | 1.71 |
| 17:00 | 196 | პალერმო-მესინა | 1.8 | 3.1 | 4.6 | 1.13 | 1.29 | 1.85 |
| 17:00 | 197 | რეჯინა-პარმა | 2.1 | 2.9 | 3.7 | 1.21 | 1.33 | 1.62 |
| 17:00 | 198 | უდინეზე-რომა | 1.8 | 3.3 | 4.2 | 1.16 | 1.25 | 1.84 |

## იტალია. სერია B

| დრო | № | მატჩი | 1 | X | 2 | 1-X | 1-2 | X-2 |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| | | **8 აპრილი** | | | | | | |
| 22:45 | 200 | ვენეცია-კატანძარო | 1.7 | 3.3 | 4.5 | 1.12 | 1.23 | 1.9 |
| | | **9 აპრილი** | | | | | | |
| 17:00 | 201 | კროტონე-ტრიესტინა | 1.85 | 3.0 | 4.2 | 1.14 | 1.28 | 1.75 |
| 17:00 | 202 | ჯენოა-ალბინოლეფე | 1.4 | 3.6 | 8.0 | 1.0 | 1.19 | 2.48 |
| 17:00 | 203 | პერუჯა-ტერნანა | 1.8 | 2.8 | 5.0 | 1.09 | 1.32 | 1.79 |
| 17:00 | 204 | პიაჩენცა-სალერნიტანა | 2.1 | 2.7 | 3.7 | 1.18 | 1.33 | 1.56 |
| 17:00 | 205 | პესკარა-ტრევიზო | 2.25 | 2.7 | 3.3 | 1.22 | 1.33 | 1.48 |
| 17:00 | 206 | ტორინო-ემპოლი | 2.05 | 2.7 | 3.8 | 1.16 | 1.33 | 1.57 |
| 17:00 | 207 | ვიჩენცა-ასკოლი | 2.15 | 2.7 | 3.5 | 1.19 | 1.33 | 1.52 |
| 22:30 | 208 | ბარი-კატანია | 2.2 | 2.6 | 3.6 | 1.19 | 1.36 | 1.5 |
| | | **10 აპრილი** | | | | | | |
| 22:45 | 209 | მოდენა-ვერონა | 2.3 | 2.7 | 3.2 | 1.24 | 1.33 | 1.46 |

## იტალია. სერია C1/A

| დრო | № | მატჩი | 1 | X | 2 | 1-X | 1-2 | X-2 |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| | | **7 აპრილი** | | | | | | |
| 22:30 | 215 | მანტოვა-პრატო | 1.2 | 4.7 | 12.0 | 1.0 | 1.09 | 3.37 |

## ესპანეთი. I დივიზიონი

| დრო | № | მატჩი | 1 | X | 2 | 1-X | 1-2 | X-2 |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| | | **9 აპრილი** | | | | | | |
| 23:45 | 238 | ბილბაო-სოსიედადი | 1.85 | 3.3 | 4.1 | 1.18 | 1.27 | 1.82 |
| 22:00 | 244 | ნუმანსია-ატლეტიკო | 3.0 | 3.4 | 2.15 | 1.59 | 1.25 | 1.31 |
| | | **10 აპრილი** | | | | | | |
| 19:00 | 239 | ბეტისი-ლევანტე | 1.5 | 3.6 | 6.0 | 1.05 | 1.2 | 2.25 |
| 19:00 | 240 | ესპანიოლი-სევილია | 2.05 | 3.2 | 3.4 | 1.24 | 1.27 | 1.64 |
| 19:00 | 241 | ხეტაფე-ალბასეტე | 1.75 | 3.4 | 4.5 | 1.15 | 1.25 | 1.93 |
| 23:00 | 242 | დეპორტივო-ვილიარეალი | 2.0 | 3.2 | 3.5 | 1.23 | 1.27 | 1.67 |
| 19:00 | 243 | მალიორკა-სარაგოსა | 2.4 | 3.3 | 2.65 | 1.38 | 1.25 | 1.46 |
| 19:00 | 245 | ოსასუნა-რასინგი | 2.25 | 3.2 | 3.0 | 1.32 | 1.28 | 1.54 |
| 21:00 | 246 | რეალი-ბარსელონა | 2.35 | 3.2 | 2.7 | 1.35 | 1.25 | 1.46 |
| 19:00 | 247 | ვალენსია-მალაგა | 1.45 | 3.8 | 7.0 | 1.04 | 1.2 | 2.46 |

## საფრანგეთი. I დივიზიონი

| დრო | № | მატჩი | 1 | X | 2 | 1-X | 1-2 | X-2 |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| | | **9 აპრილი** | | | | | | |
| 19:15 | 259 | ნანტი-ლიონი | 3.2 | 2.9 | 2.3 | 1.52 | 1.33 | 1.28 |
| 22:00 | 261 | პსჟ-ბორდო | 1.85 | 2.9 | 4.8 | 1.12 | 1.33 | 1.8 |
| 22:00 | 262 | სტ.ეტიენი-ბასტია | 1.7 | 2.9 | 6.0 | 1.07 | 1.32 | 1.95 |
| 22:00 | 263 | სტრასბური-მარსელი | 2.75 | 2.9 | 2.6 | 1.41 | 1.33 | 1.37 |
| 22:00 | 265 | ტულუზი-რენი | 1.85 | 2.9 | 4.8 | 1.12 | 1.33 | 1.8 |
| 22:00 | 267 | კანი-მეცი | 2.05 | 2.8 | 4.1 | 1.18 | 1.36 | 1.66 |
| 22:00 | 268 | ისტრი-სოშო | 3.0 | 2.8 | 2.45 | 1.44 | 1.34 | 1.3 |
| 22:00 | 269 | ლანსი-ნიცა | 1.75 | 3.1 | 5.0 | 1.11 | 1.29 | 1.91 |
| | | **10 აპრილი** | | | | | | |
| 20:00 | 266 | აიაჩიო-ოსერი | 2.45 | 2.9 | 2.9 | 1.32 | 1.32 | 1.45 |
| 23:00 | 270 | მონაკო-ლილი | 1.9 | 2.9 | 4.5 | 1.14 | 1.33 | 1.76 |

## საფრანგეთი. II დივიზიონი

| დრო | № | მატჩი | 1 | X | 2 | 1-X | 1-2 | X-2 |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| | | **8 აპრილი** | | | | | | |
| 22:00 | 272 | ანჟე-ლე მანი | 2.8 | 2.7 | 2.6 | 1.37 | 1.34 | 1.32 |
| 22:00 | 273 | შატორუ-ბრესტი | 2.1 | 2.9 | 3.5 | 1.21 | 1.31 | 1.58 |
| 22:00 | 274 | დიჟონი-ლე ავრი | 1.8 | 3.0 | 4.5 | 1.12 | 1.28 | 1.79 |
| 22:00 | 275 | გენგამი-კლერმონი | 1.75 | 3.0 | 5.0 | 1.1 | 1.29 | 1.87 |
| 22:00 | 276 | ლორიანი-რეიმსი | 1.95 | 2.8 | 4.0 | 1.14 | 1.31 | 1.64 |
| 22:00 | 277 | მონპელიე-გრენობლი | 1.85 | 3.0 | 4.2 | 1.14 | 1.28 | 1.75 |
| 22:00 | 278 | ნანსი-კრეტეი | 1.6 | 3.4 | 5.2 | 1.08 | 1.22 | 2.05 |
| 22:00 | 279 | ნიორი-ამიენი | 2.2 | 3.0 | 3.0 | 1.26 | 1.26 | 1.5 |
| 22:30 | 280 | ტრუა-გინიონი | 1.5 | 3.4 | 6.5 | 1.04 | 1.21 | 2.23 |
| | | **11 აპრილი** | | | | | | |
| 22:15 | 281 | ლავალი-სედანი | 2.05 | 2.9 | 3.55 | 1.2 | 1.29 | 1.59 |

## ბელგია. I დივიზიონი

| დრო | № | მატჩი | 1 | X | 2 | 1-X | 1-2 | X-2 |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| | | **8 აპრილი** | | | | | | |
| 22:30 | 282 | სტ.ტრუიდენი-გენკი | 3.4 | 3.3 | 1.95 | 1.67 | 1.23 | 1.22 |
| | | **9 აპრილი** | | | | | | |
| 22:00 | 283 | ოსტენდე-შარლერუა | 2.45 | 3.3 | 2.6 | 1.4 | 1.26 | 1.45 |
| 22:00 | 284 | მონსი-ლიეჟი | 2.25 | 3.4 | 2.75 | 1.35 | 1.23 | 1.52 |
| 22:00 | 285 | ანდერლეხტი-ლოკერენი | 1.25 | 5.0 | 9.0 | 1.0 | 1.09 | 3.21 |
| 22:00 | 286 | გენტი-სერენი | 1.6 | 3.6 | 5.0 | 1.1 | 1.21 | 2.09 |
| 22:00 | 287 | ბევერენი-ვესტერლო | 2.05 | 3.3 | 3.2 | 1.26 | 1.24 | 1.62 |
| 22:00 | 288 | ლიერსი-მუსკრონი | 1.9 | -3.2 | 3.5 | 1.19 | 1.23 | 1.67 |
| | | **10 აპრილი** | | | | | | |
| 15:00 | 289 | ბრიუგე-სტანდარდი | 1.75 | 3.4 | 4.0 | 1.15 | 1.21 | 1.83 |
| 17:00 | 290 | ბეირინგენი-ბრიუსელი | 1.8 | 3.3 | 3.8 | 1.16 | 1.22 | 1.76 |

## ჰოლანდია. I დივიზიონი

| დრო | № | მატჩი | 1 | X | 2 | 1-X | 1-2 | X-2 |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| | | **7 აპრილი** | | | | | | |
| 22:15 | 301 | აიაქსი-ტილბურგი | 1.25 | 4.8 | 9.5 | 1.0 | 1.1 | 3.18 |
| | | **8 აპრილი** | | | | | | |
| 22:00 | 302 | დენ ჰააგი-გრაფსხაპი | 1.7 | 3.4 | 4.5 | 1.13 | 1.23 | 1.93 |
| | | **9 აპრილი** | | | | | | |
| 21:30 | 303 | ჰერენვენი-ტვენტე | 1.9 | 3.3 | 3.7 | 1.2 | 1.25 | 1.74 |
| 21:30 | 304 | აზ-დენ ბოსხი | 1.05 | 8.5 | 26.0 | 1.0 | 1.0 | 6.4 |
| 21:30 | 305 | გრონინგენი-ვილემი | 1.65 | 3.5 | 4.8 | 1.12 | 1.22 | 2.02 |
| | | **10 აპრილი** | | | | | | |
| 14:30 | 306 | ბრედა-ფეიენოორდი | 5.0 | 3.6 | 1.6 | 2.09 | 1.21 | 1.1 |
| 14:30 | 307 | ნაიმეხენი-ვიტესი | 2.4 | 3.3 | 2.6 | 1.38 | 1.24 | 1.45 |
| 16:30 | 308 | ვალვაიკი-როდა | 2.15 | 3.3 | 2.85 | 1.3 | 1.22 | 1.52 |
| 16:30 | 309 | აიაქსი-ალკმაარი | 1.8 | 3.3 | 3.9 | 1.16 | 1.23 | 1.78 |

## ჰოლანდია. II დივიზიონი

| დრო | № | მატჩი | 1 | X | 2 | 1-X | 1-2 | X-2 |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| | | **8 აპრილი** | | | | | | |
| 22:00 | 312 | კამბური-სპარტა | 1.45 | 4.0 | 6.0 | 1.06 | 1.16 | 2.4 |
| 22:00 | 313 | ჰერაკლესი-ვენლო | 2.4 | 3.5 | 2.5 | 1.42 | 1.22 | 1.45 |
| 22:00 | 314 | ეინდჰოვენი-დორდრეხტი | 2.45 | 3.4 | 2.5 | 1.42 | 1.23 | 1.44 |
| 22:00 | 315 | ჰაარლემი-ჰელმონდი | 2.8 | 3.5 | 2.15 | 1.55 | 1.21 | 1.33 |
| 22:00 | 316 | მაასტრიხტი-აპელდოორნი | 2.25 | 3.4 | 2.7 | 1.35 | 1.22 | 1.5 |
| 22:00 | 317 | ოსი-ვოლენდამი | 3.2 | 3.4 | 2.0 | 1.64 | 1.23 | 1.25 |

| | | | 1 | X | 2 | 1-X | 1-2 | X-2 |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| 22:00 | 318 | ვოლენდამი-ოსი | 1.55 | 3.7 | 5.0 | 1.09 | 1.18 | 2.12 |
| 22:00 | 319 | ვენდამი-სპარტა | 2.6 | 3.5 | 2.3 | 1.49 | 1.22 | 1.38 |
| 22:00 | 320 | ზვოლე-ტელსტარი | 1.95 | 3.3 | 3.5 | 1.22 | 1.25 | 1.69 |

**პორტუგალია. სუპერლიგა**

**8 აპრილი**

| | | | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| 23:45 | 334 | მარიტიმუ-ნასიონალი | 1.9 | 3.1 | 4.0 | 1.17 | 1.28 | 1.74 |

**9 აპრილი**

| | | | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| 23:45 | 332 | ბოავისტა-პორტუ | 2.75 | 3.1 | 2.4 | 1.45 | 1.28 | 1.35 |

**10 აპრილი**

| | | | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| 19:00 | 333 | ლეირია-გიმარაეში | 2.35 | 3.2 | 2.8 | 1.35 | 1.27 | 1.49 |
| 19:00 | 335 | პენაფიელი-მორეირენსე | 1.75 | 3.3 | 4.3 | 1.14 | 1.24 | 1.86 |
| 22:15 | 336 | რიო ავე-ბენფიკა | 3.4 | 3.2 | 2.0 | 1.64 | 1.25 | 1.23 |
| 19:00 | 337 | სეტუბალი-ჟილ ვისენტე | 1.8 | 3.3 | 4.1 | 1.16 | 1.25 | 1.82 |
| 23:45 | 338 | სპორტინგი-ბეირა მარი | 1.2 | 5.5 | 10.0 | 1.0 | 1.07 | 3.54 |
| 23:45 | 339 | სპორტინგი-ბეირა მარი 0:1 | 1.55 | 4.8 | 3.6 | | | |

**11 აპრილი**

| | | | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| 22:15 | 331 | ბელენენსეში-აკადემიკა | 1.75 | 3.3 | 4.3 | 1.14 | 1.24 | 1.86 |
| 23:45 | 340 | ეშტორილი-ბრაგა | 2.8 | 3.2 | 2.3 | 1.49 | 1.26 | 1.33 |

**პორტუგალია. I დივიზიონი**

**10 აპრილი**

| | | | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| 19:00 | 342 | ამადორა-პორტიმონენსე | 1.55 | 3.3 | 5.5 | 1.05 | 1.2 | 2.06 |
| 19:00 | 343 | ფეირენსე-ლეიშოესი | 2.15 | 3.2 | 2.85 | 1.28 | 1.22 | 1.5 |
| 19:00 | 344 | ავეში-ფელგეირასი | 1.9 | 3.2 | 3.4 | 1.19 | 1.21 | 1.64 |
| 19:00 | 345 | ფერეირა-მარკუ | 1.6 | 3.3 | 4.8 | 1.07 | 1.2 | 1.95 |
| 19:00 | 346 | გონდომარი-ვარზიმი | 2.35 | 3.2 | 2.55 | 1.35 | 1.22 | 1.41 |
| 19:00 | 347 | ნავალი-მაია | 1.65 | 3.4 | 4.5 | 1.11 | 1.2 | 1.93 |
| 19:00 | 348 | ოლიანენსე-[illegible] | 1.85 | 3.2 | 3.65 | 1.17 | 1.22 | 1.7 |
| 19:00 | 349 | ოვარენსე-ალვერკა | 1.7 | 3.3 | 4.3 | 1.12 | 1.21 | 1.86 |
| 20:00 | 350 | სანტა კლარა-შავესი | 1.9 | 3.2 | 3.5 | 1.19 | 1.23 | 1.67 |

**საბერძნეთი**

**9 აპრილი**

| | | | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| 19:00 | 354 | ირაკლისი-კერკირა | 1.4 | 3.8 | 6.5 | 1.02 | 1.15 | 2.39 |
| 20:30 | 355 | კალითეა-ეგალეო | 2.4 | 2.9 | 2.75 | 1.31 | 1.28 | 1.41 |

**10 აპრილი**

| | | | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| 20:30 | 351 | აეკ-პაოკი | 1.65 | 3.5 | 4.4 | 1.12 | 1.2 | 1.94 |
| 17:30 | 352 | არისი-კალამარია | 1.8 | 3.2 | 3.8 | 1.15 | 1.22 | 1.73 |
| 17:30 | 353 | იონიკოსი-ერგოტელისი | 1.75 | 3.2 | 4.0 | 1.13 | 1.21 | 1.77 |
| 17:30 | 356 | ოფი-ხალკიდონა | 1.95 | 3.0 | 3.6 | 1.18 | 1.26 | 1.63 |
| 21:30 | 357 | პანათინაიკოსი-ოლიმპიაკოსი | 2.5 | 2.9 | 2.65 | 1.34 | 1.28 | 1.38 |
| 19:30 | 358 | ქსანთი-პანიონიოსი | 1.75 | 3.3 | 4.1 | 1.14 | 1.22 | 1.82 |

**თურქეთი**

**8 აპრილი**

| | | | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| 21:00 | 359 | ბეშიქთაში-აკჩააბათსპორი | 1.2 | 5.0 | 12.0 | 1.0 | 1.09 | 3.52 |
| 21:00 | 360 | ბეშიქთაში-აკჩააბათსპორი 0:1 | 1.5 | 4.3 | 3.6 | | | |

**9 აპრილი**

| | | | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| 15:30 | 361 | სივასი-კაისერი | 2.65 | 3.2 | 2.35 | 1.44 | 1.24 | 1.35 |
| 17:00 | 362 | მალათია-ისტანბული | 1.7 | 3.4 | 4.3 | 1.13 | 1.21 | 1.89 |
| 17:00 | 363 | ანკარა-დიარბაქირი | 1.8 | 3.3 | 4.0 | 1.16 | 1.24 | 1.8 |
| 20:00 | 364 | საკარია-ფენერბაჩე | 7.5 | 3.9 | 1.35 | 2.56 | 1.14 | 1.0 |
| 20:00 | 365 | საკარია-ფენერბაჩე 1:0 | 2.75 | 3.7 | 1.85 | | | |

**10 აპრილი**

| | | | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| 15:30 | 366 | გაზიანთეპი-კონია | 1.85 | 3.3 | 3.7 | 1.18 | 1.23 | 1.74 |
| 15:30 | 367 | გენჩლერბირლიგი-სამსუნი | 1.75 | 3.4 | 4.0 | 1.15 | 1.21 | 1.83 |
| 15:30 | 368 | დენიზლი-რიზე | 1.85 | 3.3 | 3.7 | 1.18 | 1.23 | 1.74 |
| 20:00 | 369 | გალათასარაი-ტრაბზონი | 1.8 | 3.2 | 4.2 | 1.15 | 1.25 | 1.81 |

**ჩეხეთი**

**9 აპრილი**

| | | | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| 19:00 | 388 | ბანიკი-სიგმა | 2.05 | 3.1 | 3.3 | 1.23 | 1.26 | 1.59 |
| 16:25 | 389 | სლოვაცკო-სლავია | 2.4 | 2.9 | 2.85 | 1.31 | 1.3 | 1.43 |

**10 აპრილი**

| | | | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| 19:00 | 391 | ტეპლიცე-ოპავა | 1.55 | 3.5 | 5.2 | 1.07 | 1.19 | 2.09 |
| 19:00 | 392 | ბრნო-ლიბერეცი | 2.65 | 2.8 | 2.6 | 1.36 | 1.31 | 1.34 |
| 19:00 | 393 | იაბლონეცი-ბუდეიოვიცე | 1.55 | 3.5 | 5.3 | 1.07 | 1.19 | 2.1 |
| 19:00 | 394 | ბოლესლავი-პრჟიბრამი | 1.8 | 3.2 | 4.1 | 1.15 | 1.25 | 1.79 |
| 19:00 | 395 | დრნოვიცე-ბლშანი | 1.8 | 3.2 | 4.1 | 1.15 | 1.25 | 1.79 |

**11 აპრილი**

| | | | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| 18:40 | 390 | სპარტა-ზლინი | 1.3 | 4.6 | 8.0 | 1.01 | 1.11 | 2.92 |

**დანია. სუპერლიგა**

**9 აპრილი**

| | | | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| 17:00 | 429 | ოლბორგი-ნორდშელანდი | 1.65 | 3.4 | 4.5 | 1.11 | 1.2 | 1.93 |
| 19:00 | 430 | მიდტიულანდი-სილკებორგი | 1.6 | 3.5 | 4.8 | 1.09 | 1.2 | 2.02 |

**10 აპრილი**

| | | | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| 17:00 | 431 | ჰერფოლგე-ორჰუსი | 2.9 | 3.1 | 2.2 | 1.49 | 1.25 | 1.28 |
| 17:00 | 432 | რანდერსი-ოდენსე | 3.8 | 3.2 | 1.85 | 1.73 | 1.24 | 1.17 |
| 17:00 | 433 | ესბიერგი-ვიბორგი | 2.1 | 3.0 | 3.2 | 1.23 | 1.26 | 1.54 |
| 19:30 | 434 | კოპენჰაგენი-ბრონდბიუ | 2.2 | 3.0 | 3.0 | 1.26 | 1.26 | 1.5 |

**ნორვეგია. ტიპელიგა**

**10 აპრილი**

| | | | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| 20:00 | 443 | ლინი-ფრედრიკსტადი | 1.85 | 3.3 | 3.9 | 1.18 | 1.25 | 1.78 |
| 20:00 | 444 | ოდ გრენლანდი-ტრომსო | 1.9 | 3.3 | 3.6 | 1.2 | 1.24 | 1.72 |
| 20:00 | 445 | როზენბორგი-ალესუნდი | 1.2 | 6.0 | 9.0 | 1.0 | 1.05 | 3.59 |
| 20:00 | 446 | სტარტი-ლილესტრომი | 2.6 | 3.2 | 2.5 | 1.43 | 1.27 | 1.4 |
| 20:00 | 447 | ვიკინგი-ბოდო გლიმტი | 1.85 | 3.3 | 3.8 | 1.18 | 1.24 | 1.76 |
| 22:15 | 448 | ჰამარი-ვალერენგა | 3.0 | 3.1 | 2.3 | 1.52 | 1.3 | 1.32 |

**11 აპრილი**

| | | | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| 21:00 | 449 | ბრანი-მოლდე | 1.55 | 3.6 | 5.5 | 1.08 | 1.2 | 2.17 |

**ნორვეგია. I დივიზიონი**

**10 აპრილი**

| | | | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| 21:00 | 450 | ალტა-მოსის გრენლანდი | 1.85 | 3.8 | 3.2 | 1.24 | 1.17 | 1.73 |
| 20:00 | 451 | ფლორო-ჰაუგესუნდი | 3.0 | 3.7 | 1.95 | 1.65 | 1.18 | 1.27 |
| 20:00 | 452 | ჰოდი-მანდალი | 2.05 | 3.8 | 2.75 | 1.33 | 1.17 | 1.59 |
| 20:00 | 453 | მოსი-[illegible] ჰამი | 1.5 | 4.2 | 4.5 | 1.1 | 1.12 | 2.17 |
| 20:00 | 454 | სოგნდალი-კონგსვინგერი | 1.5 | 4.2 | 4.7 | 1.1 | 1.13 | 2.21 |
| 20:00 | 455 | სტაბეკი-ბრინი | 1.8 | 3.7 | 3.35 | 1.21 | 1.17 | 1.75 |
| 20:00 | 456 | სტრომსგოდსეტი-სანდეფიორდი | 2.4 | 3.6 | 2.35 | 1.44 | 1.18 | 1.42 |
| 20:00 | 457 | ტონსბერგი-სკეიდი | 1.85 | 3.8 | 3.2 | 1.24 | 1.17 | 1.73 |

**შვედეთი. ალსვენსკა**

**9 აპრილი**

| | | | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| 18:00 | 458 | ჰელსინგბორგი-ჰალმსტადი | 2.1 | 3.2 | 3.2 | 1.26 | 1.26 | 1.6 |

**10 აპრილი**

| | | | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| 17:00 | 459 | კალმარი-[illegible] | 1.45 | 3.9 | 6.2 | 1.05 | 1.17 | 2.39 |
| 17:00 | 460 | მალმო-გეტებორგი | 1.95 | 3.3 | 3.45 | 1.22 | 1.24 | 1.6 |

**11 აპრილი**

| | | | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| 21:00 | 461 | ორგრიტე-ლანდსკრუნა | 2.3 | 3.1 | 2.9 | 1.32 | 1.28 | 1.49 |
| 21:00 | 462 | სუნდსვალი-ელფსბორგი | 2.15 | 3.1 | 3.0 | 1.26 | 1.25 | 1.52 |
| 21:00 | 463 | ჯურგორდენი-ჰეკენი | 1.55 | 3.6 | 5.0 | 1.08 | 1.18 | 2.39 |

**ირლანდია**

**8 აპრილი**

| | | | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| 22:30 | 464 | უოტერფორდი-ბოჰემიანსი | 2.2 | 3.1 | 2.9 | 1.25 | 1.25 | 1.39 |
| 22:45 | 465 | ბრეი-დროგედა | 2.5 | 3.0 | 2.6 | 1.36 | 1.27 | 1.39 |
| 22:45 | 466 | კორკი-დუბლინი | 1.4 | 4.0 | 6.5 | 1.03 | 1.15 | 2.47 |
| 22:45 | 467 | დერი-შელბორნი | 3.0 | 3.0 | 2.2 | 1.5 | 1.26 | 1.26 |
| 22:45 | 468 | შემროკი-ლონგფორდი | 2.2 | 3.0 | 3.0 | 1.26 | 1.26 | 1.5 |
| 22:45 | 469 | სტ.პატრიკსი-ჰარპსი | 1.75 | 3.1 | 4.5 | 1.11 | 1.25 | 1.83 |

**უეფას თასი**

**7 აპრილი**

| | | | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| 20:30 | 404 | ცსკა-ოსერი | 1.8 | 3.2 | 4.2 | [illegible] | 1.27 | [illegible] |
| 22:45 | 405 | ავსტრია-პარმა | 2.25 | 3.0 | 3.0 | 1.25 | 1.25 | [illegible] |
| 22:45 | 406 | ნიუკასლი-სპორტინგი | 1.75 | 3.2 | 4.5 | [illegible] | [illegible] | [illegible] |
| 22:45 | 407 | ვილიარეალი-ალკმაარი | 1.55 | 3.5 | 5.0 | [illegible] | [illegible] | [illegible] |

**შოტლანდია. თასი**

**9 აპრილი**

| | | | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| 18:00 | 522 | დანდი იუნაიტედი-ჰიბერნიანი | 3.65 | 3.3 | 1.85 | 1.73 | 1.22 | [illegible] |

**10 აპრილი**

| | | | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| 15:15 | 523 | ჰარტსი-სელტიკი | 7.0 | 4.0 | 1.35 | 2.53 | 1.13 | [illegible] |

**ლიბერტადორესის თასი**

**7 აპრილი**

| | | | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| 23:45 | 535 | რივერ პლეიტი-[illegible] | 1.35 | 4.2 | 7.0 | 1.02 | 1.13 | 2.62 |
| 23:45 | 536 | ოლიმპია-ნასიონალი | 1.65 | 3.3 | 4.8 | 1.1 | 1.22 | 1.95 |

**ჰოკეი. შვედეთი**

**7 აპრილი**

| | | | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| 21:15 | 601 | ფერიესტადი-ფროლუნდა | 2.25 | 4.2 | 2.2 | 1.46 | [illegible] | [illegible] |

**ჰოკეი. გერმანია**

**7 აპრილი**

| | | | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| 21:30 | 555 | აისბერენი-ინგოლშტადტი | 1.8 | 4.3 | 2.6 | 1.26 | 1.06 | [illegible] |
| 21:30 | 556 | ფრანკფურტი-მანჰაიმი | 1.85 | 4.2 | 2.45 | 1.28 | [illegible] | [illegible] |

**ჰოკეი. შვეიცარია**

**7 აპრილი**

| | | | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| 22:15 | 611 | დავოსი-ციურიხი | 1.65 | 4.5 | 3.2 | 1.2 | 1.08 | 1.87 |

**ჰოკეი. რუსეთი**

**7 აპრილი**

| | | | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| 19:00 | 554 | ლოკომოტივი-ავანგარდი | 1.85 | 4.8 | 2.5 | 1.33 | 1.06 | 1.63 |

**ჰოკეი. ამხანაგური მატჩები**

**7 აპრილი**

| | | | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| 18:00 | 557 | სლოვაკეთი-ჩეხეთი | 2.25 | 4.4 | 2.05 | 1.48 | 1.07 | 1.39 |
| 20:00 | 558 | იტალია-ავსტრია | 2.2 | 4.5 | 2.1 | 1.47 | 1.07 | 1.41 |
| 20:30 | 559 | გერმანია-შვედეთი | 3.0 | 5.1 | 1.55 | 1.88 | 1.02 | 1.18 |
| 21:00 | 560 | [illegible]-ნორვეგია | 1.85 | 5.2 | 2.3 | 1.36 | 1.02 | 1.59 |

**კალათბურთი. ევროლიგა**

**7 აპრილი**

| | | | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| 20:40 | 550 | ულკერი-ცსკა | 2.8 | 12.0 | 1.35 | 2.27 | 1.0 | 1.21 |
| 20:40 | 552 | ტაუ-ბენეტონი | 1.3 | 12.0 | 3.0 | 1.17 | 1.0 | 2.3 |

# სხვა სახის ფსონებს გაეცნობით ადგილზე

**ფრეს გარეშე (ძირ. დრო)**

| | | | |
|---|---|---|---|
| 16404 | ცსკა-ოსერი | 1.3 | 2.7 |
| 16405 | ავსტრია-პარმა | 1.5 | 2.2 |
| 16406 | ნიუკასლი-სპორტინგი | 1.25 | 2.8 |
| 16407 | ვილიარეალი-ალკმაარი | 1.2 | 3.5 |

| | 1-ლი ტაიმი/ძირითადი დრო. | 1/1 | 1/X | 1/2 | X/1 | X/X | X/2 | 2/1 | 2/X | 2/2 |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| 11404 | ცსკა-ოსერი | 2.6 | 10.0 | 20.0 | 3.6 | 4.4 | 7.5 | 20.0 | 10.0 | 6.5 |
| 11405 | ავსტრია-პარმა | 3.2 | 10.0 | 20.0 | 4.2 | 4.4 | 5.6 | 20.0 | 10.0 | 5.0 |
| 11406 | ნიუკასლი-სპორტინგი | 2.6 | 10.0 | 20.0 | 3.6 | 4.4 | 7.5 | 20.0 | 10.0 | 6.5 |
| 11407 | ვილიარეალი-ალკმაარი | 2.3 | 10.0 | 20.0 | 3.5 | 4.6 | 9.0 | 20.0 | 10.0 | 8.0 |

# I ტაიმის შედეგი

| | | 1 | X | 2 | 1-X | 1-2 | X-2 |
|---|---|---|---|---|---|---|---|
| 10404 | ცსკა-ოსერი | 2.3 | 2.0 | 4.3 | 1.06 | 1.49 | 1.36 |
| 10405 | ავსტრია-პარმა | 2.7 | 2.1 | 3.2 | 1.18 | 1.46 | 1.26 |
| 10406 | ნიუკასლი-სპორტინგი | 2.2 | 2.0 | 5.0 | 1.04 | 1.52 | 1.42 |
| 10407 | ვილიარეალი-ალკმაარი | 1.9 | 2.3 | 5.3 | 1.04 | 1.39 | 1.6 |

# შესაძლო ცვლილებები ადგილზე დააზუსტეთ

**გაიტანს თუ არა ორივე გუნდი მატჩში გოლს (ძირითადი დრო)**

| | | კი | არა |
|---|---|---|---|
| 13404 | ცსკა-ოსერი | 1.7 | 1.9 |
| 13405 | ავსტრია-პარმა | 1.7 | 1.9 |
| 13406 | ნიუკასლი-სპორტინგი | 1.7 | 1.9 |
| 13407 | ვილიარეალი-ალკმაარი | 1.7 | 1.9 |

**რამდენი გოლი გავა მატჩში (ძირითადი დრო) (2,5-ზე ნაკლები - 2,5-ზე მეტი)**

| | | | |
|---|---|---|---|
| 12404 | ცსკა-ოსერი | 1.6 | 2.0 |
| 12405 | ავსტრია-პარმა | 1.7 | 1.9 |
| 12406 | ნიუკასლი-სპორტინგი | 1.7 | 1.9 |
| 12407 | ვილიარეალი-ალკმაარი | 1.7 | 1.9 |

**რომელი გუნდი გახსნის მატჩში ანგარიშს**

(მატჩის 0-0 დამთავრების შემთხვევაში, ორივე ფსონი წაგებულად ჩაითვლება)

| | | | |
|---|---|---|---|
| 14404 | ცსკა-ოსერი | 1.6 | 2.3 |
| 14405 | ავსტრია-პარმა | 1.8 | 2.0 |
| 14406 | ნიუკასლი-სპორტინგი | 1.65 | 2.2 |
| 14407 | ვილიარეალი-ალკმაარი | 1.3 | 2.55 |

**ლუწი რაოდენობის გოლი გავა მატჩში თუ კენტი (0:0 ითვლება ლუწად)**

| | | ლუწი | კენტი |
|---|---|---|---|
| 17404 | ცსკა-ოსერი | 1.85 | 1.95 |
| 17405 | ავსტრია-პარმა | 1.85 | 1.95 |
| 17406 | ნიუკასლი-სპორტინგი | 1.85 | 1.95 |
| 17407 | ვილიარეალი-ალკმაარი | 1.85 | 1.95 |

**რომელ ტაიმში გავა მეტი გოლი**

| | | I-ში | თანაბრად | II-ში |
|---|---|---|---|---|
| 15404 | ცსკა-ოსერი | 3.0 | 2.8 | 2.0 |
| 15405 | ავსტრია-პარმა | 3.0 | 2.8 | 2.0 |
| 15406 | ნიუკასლი-სპორტინგი | 3.0 | 2.8 | 2.0 |
| 15407 | ვილიარეალი-ალკმაარი | 3.0 | 2.8 | 2.0 |

**რომელი გუნდი გავა შემდეგ ეტაპზე**

| | | | |
|---|---|---|---|
| 18404 | ცსკა-ოსერი | 1.7 | 1.9 |
| 18405 | ავსტრია-პარმა | 2.3 | 1.5 |
| 18406 | ნიუკასლი-სპორტინგი | .65 | 2.0 |
| 18407 | ვილიარეალი-ალკმაარი | 1.4 | 2.6 |

# ევროლიგა

ნახევარფინალი. პირველი მატჩები, 5 აპრილი

# სკოლამ ბენეტონი სკოლაში წაიყვანა

## ტაუ, ცსკა და მაკაბი მოსკოვისკენ დაიძრნენ



ლუის სკოლამ „ტაუ-ს“ „ბენეტონი“ დაამარცხებინა

„ეს არაა ისტორიული გამარჯვება, არამედ იმ ისტორიული საპლეიოფო სერიის შემადგენელი ნაწილია, რომელსაც, იმედია, ხუთშაბათს წარმატებით დავაგვირგვინებთ“ — განაცხადა მატჩის გმირთაგმირმა, 29 წუთში 34 ქულის მომხვეჭმა „ტაუს“ ფორვარდ-ცენტრმა ლუის სკოლამ.

სკოლა ისე თამაშობდა, თითქოს სკოლაში იყო დ საკალათბურთო გაკვეთილს უტარებდა მეტოქეებს. მისმა აქტიურმა და, რაც მთავარია, ქულუხვმა თამაშმა „ტაუ“ დებიუტშივე დააწინაურა და საწყისი მეოთხედი 27:19 მოაგებინა.

შესვენების შემდეგაც შეუჩერებელი იყო „ტაუს“ არგენტინელი ლეგიონერი, თუმც მეორე მეოთხედის შუაწელში მესამე პერსონალური მიიღო და მწვრთნელი იძულებული გახდა, მოედნიდან გაეხმო. ეს მოხდა თამაშის მე-16 წუთზე და ამ დროს სკოლას ანგარიშზე უკვე 24 ქულა ირიცხებოდა.

არგენტინელის გასვლა იყო და ლიტველმა ითავა ლიდერობა. არვიდას მასიაუსკასი მეტოქეს არც პერიმეტრიდან აძლევდა მოსვენებას და სწრაფი გარღვევებით ხომ საერთოდ აიკლო. შედეგად „ტაუს“ უპირატესობამ 20 ქულას გადააჭარბა მესამე მეოთხედში და როცა სკოლაც მოედანზე დაბრუნდა, დიდი შესვენების წინ უკვე 79:52 იგებდნენ სტუმრები. ყველაფერიც აქ გადაწყდა — 10 წუთში 27 ქულის გამბათილებელი „ბენეტონი“ კი არა, ალბათ არც არავინ არის.

დარჩენილ ორ მატჩში კი, როგორც გითხარით, მასპინძლებმა იმარჯვეს. ცსკა-ს თითქმის მთელი ტაიმი უძალიანდებოდა „ულქერი“, მაგრამ მოსკოველები იმის ჩიტები არ იყვნენ, გამარჯვება ოსმალოთათვის გაეტანებინათ და იოლადაც იმარჯვეს — 88:74.

ყველაზე იოლი გამარჯვება კი თელავიველებმა მოიპოვეს. მოქმედმა ჩემპიონმა „მაკაბიმ“ შინ იტალიურ „სკავოლინის“ პირველივე წუთებზე აგრძნობინა, რომ ამხელა გზაზე სულ ტყუილად იარა. 14:1 — ასე დაიწყეს თელავიველებმა და მეორე მეოთხედის ახალდაწყებულზე უკვე 20 ქულას იგებდნენ. ებრაელებმა ისე ჩაამთავრეს თამაში, მეტოქე 20 ქულაზე ახლოს მხოლოდ ერთხელ, 55:37-ზე მიუახლოვდა.

საპასუხო მატჩები დღეს საღამოს გაიმართება და, თუ კალათბურთში ჩახედულ ხალხს ვერწმუნებით, სერიის გამარჯვებულებიც გამოვლინდებიან. ანუ სერიაში დაწინაურებულები ისევ იმარჯვებენ და ოთხთა ფინალის სამი მონაწილეც გამოვლინდება. მეოთხე წყვილი, „პანათინაიკოსი“ — „ეფესი“ კი წუხელ დაიწყებდა საპლეიოფო სერიას.

### მაკაბი 88:60 სკავოლინი

26:10 25:18 15:15 22:17

მაკაბი: ისიკვეიჩუსი (18), ბურშტეინი (6), პარკერი (12), ვუიჩიჩი (2), ბასტონი (11); შარფი (8), შელეფი (9), ჰალპერინი (7), კომატოსი (11), ტომასი (4), გრინი

სკავოლინი: პენი (5), სმიტი (14), მილიჩი (16), რესი (1), არჩიბალდი (10); მოტოლა (7), ფროსინი (2), მალავენტურა (5)

### ბენეტონი 59:98 ტაუ

19:27 19:22 14:30 7:19

ბენეტონი: შიშკაუსკასი (5), ბულერი (8), გარნეტი (13), გორეე (11), მარკონატო (6); მორლენდე (1), სორანა (3), ბარნანი (5), ბერდი (7), ბლუმენტალი

ტაუ: მასიაუსკასი (1), დავიდი (8), ვიდალი (6), პრიჯონი (5), სკოლა (34); პანსენი (7), კალდერონი (12), სპლიტერი (3), ბეტსი (2), გაბინი

### ცსკა 88:74 ულქერი

20:19 29:15 14:20 25:20

ცსკა: ბრაუნი (16), ჰოლდენი (12), გრანგერი (8), დიკუდისი (13), ანდერსენი (11); პაპალუკასი (7), პაშუტინი (4), მონია (8), მიუურსეპი (9), სავრასენკო

ულქერი: ერდოგანი (17), გონუმი (10), თუნჩერი (2), შტომბერგასი (10), ჟუკაუსკასი (10); ვოკსვიტსი (11), შოლაკი (6), ილიასოვა, აჩიკი (5), პრაშკევიჩისი (3)

ევროლიგას შემორჩენილი გუნდები გუშინწინ საოთხთაფინალოდ შეიბნენ. სამშაბათს სამი მეოთხედფინალური სერია გაიხსნა, სადაც გამარჯვება ორ მოგებამდეა და ერთი იღბლიანის დასახელება უკვე თამამად შეგვიძლია. სამივე შეხლაში ფავორიტად მასპინძლები ითვლებოდნენ და ორმა — მოსკოვის ცსკა-მ და თელ ავივის „მაკაბიმ“ — იოლადაც იმარჯვა, ხოლო „ბენეტონისა“ და „ტაუს“ დაპირისპირებაში ამ უკანასკნელმა 39-ქულიანი გამარჯვება მოიპოვა, რითაც ფაქტობრივად მოსკოვში თამაში გაინაღდა.

მოსკოვი, რა შეხსენება გინდათ და, ოთხთა ფინალის მასპინძელია. წესით, კანონით და რა ვიცით, კიდევ ბევრი მიზეზის გამო ამ საკალათბურთო ყეენობას ცსკა არ უნდა გამოაკლდეს. არმიელებს საამისოდ პლეი ოფში სტამბოლის „ულქერის“ დამარცხება ესაჭიროებათ და მათ სამშაბათს სერიის პირველ მატჩში სძლიეს კიდეც თურქებს, მაგრამ ოთხთა ფინალის საგზურთმპყრობელად პირველ რიგში მაინც ბასკური „ტაუ“ უნდა ჩავთვალოთ.

ვიტორიელებმა ტრევიზოში „ბენეტონი“ ისე მიანგრიეს, იტალიური კლუბის წევრებს თავი კარეთ არ გამოეყოფათ. „ბენეტონი“ შინაურ „პალავერდეში“ მთელი 39 ქულით დამარცხდა, რაც იმას ნიშნავს, რომ თუ დღეს ვიტორიაში ამაზე მეტით ვერ იმარჯვებს, რაც თითქმის გამორიცხულია, ოთხთა ფინალი გვერდზე დარჩება.

**ირაკლი პერტაია**

# NBA რეგულარული ჩემპიონატი

5 აპრილი

### გოლდენ სტეიტი 122:117 ჰიუსტონი

გოლდენ სტეიტი: დევისი (40 ქულა, 13 პასი, 5 მოხსნა, 5 ჩაჭრა), რიჩარდსონი (20)

*ციტიშვილი სათადარიგო იყო*

ჰიუსტონი: მაკგრეიდი (44), მინგი (23 ქულა, 11 მოხსნა)

### ნიუ იორკი 79:97 ინდიანა

ნიუ იორკი: მარბერი (19), ტ. ტომასი (13)

ინდიანა: ჯეკსონი (33), მილერი (13), ჯონსონი (13)

### მაიამი 104:86 ჩიკაგო

მაიამი: ვეიდი (39), დ. ჯონსი (17), ჰეისლიმი (16 ქულა, 15 მოხსნა)

ჩიკაგო: ნოჩიონი (14), გორდონი (14)

### მემფისი 91:94 დენვერი

მემფისი: გასოლი (18), მილერი (16)

დენვერი: ენტონი (24), მარტინი (20), მილერი (18)

### დალას 114:105 ორლანდო

დალასი: ნოვიცკი (21), ტერი (18 ქულა, 13 მოხსნა), სტეკჰაუზი (17)

ორლანდო: სტივენსონი (29), ნელსონი (18), ფრენსისი (16 ქულა, 11 პასი)

### ვაშინგტონი 108:116 ბოსტონი

ვაშინგტონი: არენასი (43), ჯემისონი (30)

ბოსტონი: პირსი (25), ლაფრენცი (21)

### კლივლენდი 80:111 ნიუ ჯერსი

კლივლენდი: ჯეიმსი (24), გუდენი (16)

ნიუ ჯერსი: კარტერი (27), კრსტიჩი (18), კიდი (13 ქულა, 12 პასი)

### ფინიქსი 125:99 ლეიკერსი

ფინიქსი: რიჩარდსონი (25 ქულა, 10 მოხსნა), სტუდემაიერი (23), მარიონი (22 ქულა, 12 მოხსნა)

ლეიკერსი: ბატლერი (30)

### საკრამენტო 122:101 სიეტლი

საკრამენტო: სტოიაკოვიჩი (24), მობლი (21), ტომასი (20)

სიეტლი: ალენი (23), ვილკინსი (20)

### შარლოტი 102:104 კლიპერსი

შარლოტი: ნაითი (21 ქულა, 13 პასი), ვოლესი (19), ოკაფორი (17 ქულა, 10 მოხსნა)

კლიპერსი: მეჯიტი (34), ბრენდი (27 ქულა, 10 მოხსნა), ლივინგსტონი (17 ქულა, 9 პასი, 8 მოხსნა, 6 ჩაჭრა)

### ატლანტა 86:96 ნიუ ორლეანი

ატლანტა: გულიოტა (18 ქულა, 12 მოხსნა), დელკი (18)

ნიუ ორლეანი: ნეილონი (19)

### იუტა 90:79 პორტლენდი

იუტა: ჰარპრინგი (17)

პორტლენდი: პრჟიბილა (13), ტელფაირი (13), აუთლოო (13)

| აღმოსავლეთი | | | |
|---|---|---|---|
| მაიამი | 56 | 19 | 74,7 |
| დეტროიტი | 46 | 27 | 63,0 |
| ბოსტონი | 40 | 34 | 54,1 |
| ჩიკაგო | 41 | 32 | 56,2 |
| ვაშინგტონი | 41 | 32 | 56,2 |
| ინდიანა | 39 | 34 | 53,4 |
| კლივლენდი | 38 | 35 | 52,1 |
| ფილადელფია | 36 | 37 | 49,3 |
| ნიუ ჯერსი | 36 | 39 | 48,0 |
| ორლანდო | 35 | 39 | 47,3 |
| ტორონტო | 30 | 43 | 41,1 |
| ნიუ იორკი | 29 | 44 | 39,7 |
| მილუოკი | 28 | 45 | 38,4 |
| შარლოტი | 15 | 58 | 20,5 |
| ატლანტა | 11 | 63 | 14,9 |

| დასავლეთი | | | |
|---|---|---|---|
| ფინიქსი | 57 | 17 | 77,0 |
| სან ანტონიო | 54 | 19 | 74,0 |
| სიეტლი | 50 | 24 | 67,6 |
| დალასი | 50 | 24 | 67,6 |
| საკრამენტო | 46 | 30 | 60,5 |
| ჰიუსტონი | 44 | 31 | 58,7 |
| დენვერი | 42 | 31 | 57,5 |
| მემფისი | 41 | 32 | 56,2 |
| მინესოტა | 39 | 35 | 52,7 |
| კლიპერსი | 34 | 41 | 45,3 |
| ლეიკერსი | 33 | 41 | 44,6 |
| გოლდენ სტეიტი | 29 | 45 | 39,2 |
| პორტლენდი | 24 | 49 | 32,9 |
| იუტა | 23 | 50 | 31,5 |
| ნიუ ორლეანი | 18 | 55 | 24,7 |

*პირველი სამი ადგილი დივიზიონის ლიდერებს უჭირავთ*



გოლდენსტეიტელმა ბაირონ დევისმა „ჰიუსტონს“ 40 ქულა ჩაუგდო

# ევროსამზადისი

## კურტანიძე ქვას ჭამს და ფქვავს, ნოზაძე კი გამოირიცხა

**აპრილი** ევროპაში საჭიდაო თვეა. ხუთიოდ დღეში ბულგარეთში, ქალაქ ვარნაში, თავისუფალი სტილის მოჭიდავეები გავლენ ხალიჩაზე და 2005 წლის შვიდ უძლიერეს ევროფალავანს გამოავლენენ. მათი შეჯიბრის დასრულებისთანავე კი საქმეში ბერძენ-რომაელები ჩაერთვებიან.

საქართველოს ჭიდაობის ფედერაციისა და ნაკრებების თავკაცთა გადაწყვეტილებით, ზაზა თურმანიძისა და ბეგი დარჩიას გუნდები ბულგარეთში ცალ-ცალკე ჩავლენ. თავისუფლები 9 აპრილს, ხოლო ბერძენ-რომაელები 14 აპრილს.

წინასაევროპო დასკვნით შეკრებებს ორივე ნაკრები ლიკანში გადის, თურმანიძის ბიჭები კი ხვალ უკვე თბილისში მოდიან და მწვრთნელს მოსამზადებელი ეტაპის შემაჯამებელი კომენტარიც ჩამოვართვით.

„უკვე დასკვნითი საკონტროლო შეხვედრებიც ჩავატარეთ და საერთო ჯამში ბიჭების მზადყოფნით კმაყოფილი ვარ, — ამბობს ზაზა თურმანიძე — ერთადერთი, რაც ხელს გვიშლის, ტრავმიანობაა. მძიმეწონოსან დავით ოთიაშვილს სწორედ ტრავმის გამო საკონტროლო შეხვედრები საერთოდ გამოვატოვებინე. იყო საშიშროება, ტრავმა გაემიზეზებინა. არადა, სრული დატვირთვებით ვარჯიშის შემთხვევაში ალბათ მასზე პირდაპირ მედალს დავგეგმავდით. სხვებმა შეკრება სრულყოფილად გაიარეს, თუმც კობა კაკალაძე (60 კგ) და შალვა მუზიაშვილი (66 კგ) საკონტროლოებზე დაშავდნენ. ბულგარეთში 12-13 აპრილს ვჭიდაობთ და იმედია, მანამდე ბოლომდე მოშუშდებიან. გიორგი გოგშელიძის ევროპის ჩემპიონატზე ჭიდაობა ადრევე გამოირიცხა და მისი ადგილი ლუკა კურტანიძემ დაიკავა. მართალია, თავიდან ლუკას მხოლოდ მსოფლიოზე ჭიდაობა ჰქონდა გადაწყვეტილი, მაგრამ ეს სულაც არ ნიშნავს, რომ საევროპოდ შემართება აკლდეს. როგორც ყოველთვის, ლომივითაა, ქვას ჭამს და ფქვავს".

ტრავმები ბერძენ-რომაელებსაც მოსძალებიათ. ამ პრობლემასთან ერთად ბეგი დარჩიას ახალი საჭიდაო წესებიც სერიოზულად აფიქრებს:


ბეგი დარჩია


ზაზა თურმანიძე

— საქართველოს ჩემპიონატი ფილას მიერ გამოგზავნილი განახლებული წესებით ჩავატარეთ, მაგრამ მას შემდეგ მოულოდნელად ცვლილებები კვლავაც გაგრძელდა და, ცოტა არ იყოს, გაურკვევლობაში აღმოვჩნდით. ბოლო შეკრებებზე ჩვენი მთავარი საფიქრალი სწორედ სიახლეებთან შეგუება და მათი გათვალისწინებით ჭიდაობის დახვეწაა.

— მანუჩარ კვირკველიას მცირე ტრავმა აწუხებდა. ახლა როგორაა?

— კვირკველია უკვე სრული დატვირთვით ემზადება, მაგრამ ტრავმიანობა ნაკრებში მაინც გრძელდება. ამის გამო უკვე გამოირიცხა ბულგარეთში რამაზ ნოზაძის წამოსვლა. იგი ამჟამად ლიკანშია, მაგრამ ჩემპიონატამდე მომჯობინებას ვერ ასწრებს. იგი ახალგაზრდა გივი მორჩილაძით შევცვალეთ. შესაძლოა, ერთი ცვლილებაც გახდეს საჭირო. მუხრან მაჭუტაძემ (66 კგ) მხარი დაიშავა და ჯერაც არ ვიცით, მორჩება თუ არა უახლოეს დღეებში.

— მისი შემცვლელი ვინ იქნება?

— შმაგი გოქაძე, თუმც ჯერ მაინც მუხრანის მომჯობინების იმედი გვაქვს. ნაკრების ექიმი ზურაბ კახაბრიშვილიც ჩვენთანაა და საბოლოო პასუხს ამ დღეებში გვეტყვის.

— კვირკველია და ბადრი ხასაია ახალ წონებში ცდიან ძალას. როგორ ფიქრობთ, შეძლებენ იქაც ფავორიტებში გარევას?

— რაც არ უნდა იყოს, პირველ დიდ ტურნირს ჭიდაობენ და თავის დასამკვიდრებლად გვარიანი ბრძოლის გადატანა მოუწევთ. იმედია, ფსიქოლოგიურ დატვირთვასაც გაუძლებენ და საკუთარ შესაძლებლობებს ყველას დაანახვებენ.

— გასულ თვეში ბულგარული ტურნირიდან დაბრუნებულებმა გამოთქვით სურვილი, დასკვნითი წინასაჩემპიონატო შეკრება ჩემპიონატის მასპინძელ ქვეყანაში გაგვევლოთ. რატომ ვერ მოხერხდა?

— ლიკანის ვარიანტი საბოლოოდ თავადვე ვარჩიეთ ბულგარეთს. აქ ყველანაირი პირობა გვაქვს შექმნილი და გარემოც გამორჩეულია.

— ჭიდაობის ფედერაციაში დატრიალებული ამბების გამო ნაკრებმა ბევრი დრო დაკარგა. ეს ბიჭების მომზადებაზეც ხომ არ აისახება?

— თუ ტრავმებს და წესებში სიახლეების გამო შექმნილ პრობლემებს არ ჩავთვლით, სხვა ხელისშემშლელი პირობა არ არსებობს. ბიჭების საბრძოლო მზადყოფნაში კი საბოლოოდ ორიოდ დღეში უნდა დავრწმუნდე. 8 აპრილს საკონტროლო შეხვედრების ჩატარებას ვაპირებთ. თბილისში 12-ში ჩავდივართ, ხოლო ბულგარეთში 14-ში გავემგზავრებით.

**ოთარ მაღლაკელიძე**


ლუკა კურტანიძე
ახლა ქვას ჭამს და ფქვავს


რამაზ ნოზაძე იძულებით შესვენებაზეა

**საქართველოს ნაკრები**

| | თავისუფალი |
|---|---|
| 55 კგ | [illegible] |
| 60 კგ | [illegible] |
| 66 კგ | [illegible] |
| 74 კგ | [illegible] |
| 84 კგ | [illegible] |
| 96 კგ | [illegible] |
| -120 კგ | [illegible] |
| | **ბერძნულ-რომაული** |
| 55 კგ | [illegible] |
| 60 კგ | [illegible] |
| 66 კგ | მუხრან მაჭუტაძე [illegible] |
| 74 კგ | [illegible] |
| 84 კგ | [illegible] |
| 96 კგ | [illegible] |
| -120 კგ | [illegible] |



# ბოლოსწინა იმედი არგენტინაა

**დურბანში** მიმდინარე ცხრამეტწლამდელ მორაგბეთა მსოფლიოს თასზე საქართველოს ნაკრებმა მეორე შეხვედრა ჩაატარა და კვლავ ისე წააგო, ქულის მოპოვება ვერ შეძლო. ამჯერად პატარა ბორჯღალოსნები პირველ ტურში ავსტრალიელთაგან ძლეულმა ფრანგებმა დაამარცხეს 49:0, რითაც თასისთვის ბრძოლის შანსი შეინარჩუნეს.

ლევან მაისაშვილისა და ბადრი ბოხუას გუნდის მთავარი საფიქრალი კი A ჯგუფში ადგილის შენარჩუნებაა. საამისოდ სავარაუდოდ ჯგუფური ეტაპის ბოლო ტურში მოგებაც იკმარებს, თუმც ასეც რომ არ მოხდეს, იმედად მეოთხე დურბანული თამაში რჩება, რომელშიც ოთხი უარესი შედეგის მქონე ნაკრები დაუპირისპირდება ერთმანეთს. გამარჯვებულები მეცხრე-მეათე ადგილებს გაინაღდებენ, დამარცხებულებს კი გაისად B ჯგუფში მოუწევთ ბურთაობა.

მესამე ტურში 9 აპრილს საქართველოს ნაკრებს მასსავით ორმარცხიან არგენტინასთან უწევს ბრძოლა. სამხრეთამერიკელებმა ტურნირი მასპინძელ სამხრეთ აფრიკასთან მატჩით გახსნეს და თასის მოგების უმთავრესი ფავორიტის 62 ქულას 18-ით უპასუხეს. მეორე ტურში კი ავსტრალიასთან 0:38 წააგეს. ჩვენებურთა და არგენტინელთა გარდა უქულოები შოტლანდია და იაპონიაც არიან, ხოლო სამხრეთ აფრიკას, ახალ ზელანდიას, ავსტრალიასა და ინგლისს ორიდან ორი მოგება აქვთ.

**ოთარ მაღლაკელიძე**

**მსოფლიოს თასი** (19 წლამდე)

დურბანი. სამხრეთ აფრიკა

II ტური

| | | |
|---|---|---|
| საფრანგეთი | 49:0 | საქართველო |
| ავსტრალია | 38:0 | არგენტინა |
| ს. აფრიკა | 32:7 | ირლანდია |
| ინგლისი | 43:9 | იაპონია |
| ახ. ზელანდია | 62:0 | რუმინეთი |
| უელსი | 44:12 | შოტლანდია |



# და მაინც დეფიციტი



**ტურინის** ზამთრის ოლიმპიური თამაშების საორგანიზაციო კომიტეტმა დაამტკიცა საკუთარი 1,46 მილიარდ დოლარიანი ბიუჯეტი. ამგვარი გადაწყვეტილება საორგანიზაციო კომიტეტმა ერთი კვირის შემდეგ მიიღო მას მერე, რაც იტალიის სენატმა გადაწყვიტა ოლიმპიური თამაშებისთვის დამატებით 103,71 მილიონი დოლარი გაეღო.

მიუხედავად ამისა, წინასწარი გამოთვლებით ტურინის ზამთრის ოლიმპიური თამაშების ორგანიზატორთა დეფიციტი 100 მილიონ დოლარზე მეტია. ახლა ამ დანაკლისის აღმოფხვრა ორგანიზატორთა და მის მეთაურ მარიო პესკანტეს მთავარი ამოცანაა.

# სტადიონი, როგორც შანსი

**ვარაუდობდნენ,** რომ იმ შემთხვევაში, თუ ნიუ იორკში ახალი სპორტული ნაგებობების მშენებლობის საკითხი წარმატებით გადაწყდებოდა, მაშინ ამ ქალაქის შანსები 2012 წლის ოლიმპიური თამაშების სამასპინძლოდ ძალზე გაიზრდებოდა.

და აი, ნიუ იორკის სატრანსპორტო სამმართველომ ნება დართო, რათა ამ ქალაქში ოლიმპიური სტადიონი აშენდეს.

წინასწარი გამოთვლებით, პროექტის ღირებულება 1,7 მილიონი დოლარია.

ამგვარად, ყველა ოლიმპიური ბაზა, ერთის გარდა, ორი სატრანსპორტო არტერიის, საწყლოსნო და რკინიგზის გადაკვეთაზე, მთავარი პრესცენტრიდან არაუმეტეს 35 კმ-ით იქნება დაშორებული, რაც ნიუ ორკელთა პროექტს ძალზე მიმზიდველს ხდის.



გაიოზ თალაკვაძე
კლერმონ-ფერანიდან

# ქართველთა მეგობარი ჯონსი ჯენკინსისას შეუტევს

## „კლერმონ-ოვერნის“ კარგი თამაში მის ფეხზეც ჰკიდია

*კლერმონ-ფერანი შუაგულ საფრანგეთში მდებარე პატარა, წყნარი ქალაქია, რომელიც ოვერნის რეგიონის ცენტრია. აქაურთაგან ყველაზე ცნობილნი არიან რომაელებთან მეომარი გალების ერთ-ერთი უდიდესი ბელადი ვერსინჟეტორიქსი და საფრანგეთის ყოფილი პრეზიდენტი ვალერი ჟისკარ დესტენი, რომელიც ქვეყანას ფრანსუა მიტერანამდე მართავდა და ამჟამად სენატორია. გარდა ამ სახელებისა, კლერმონ-ფერანი ცნობილია კიდევ საბურავების მწარმოებელი „მიშლენით“, რომელიც მსოფლიო ბაზრის ლიდერია და რაგბის კლუბით.*

*ჰოდა, ეს წყნარი ქალაქი დაახლოებით ორ კვირაში ერთხელ საკმაოდ ხმაურიანად გადაიქცევა ხოლმე, როცა მისი საყვარელი გუნდი „კლერმონ-ოვერნი“, რომელსაც ადრე „მონფერანი“ ერქვა, თავის „მარსელ მიშლენის“ კოხტა სტადიონზე მეტოქეებს უხვდება.*

*ჩვენთვის ეს გუნდი იმითაა საინტერესო, რომ მის რიგებში სამი ქართველი ირიცხება ბურჯები დავით აშვეთია, გოდერძი შველიძე და დავით ზირაქაშვილი, ხოლო ლევან ცაბაძემ სწორედ აქ დაასრულა მორაგბის კარიერა.*

*თუმცა ახლა „კლერმონ-ოვერნის“ სულ სხვა ლეგიონერთან საუბარი გვსურს შემოგთავაზოთ — სტივენ ჯონსი, ან როგორც აქ ეძახიან სტეფან ჯონსი უელსის ნაკრების გარე ნახევარმცველია და თუ წლევანდელ ექვსი ერის პირველობას მიადევნეთ თვალ-ყური, მიხვდებით თუ რატომაც გადავწყვიტეთ მასთან ინტერვიუ.*

*კლერმონ-ფერანის ცენტრში ერთ რაგბზე შეყვარებულ კაცს მშვენიერი კაფე აქვს „ლე საფრანი“ და სტივენ ჯონსსაც სწორედ იქ შევხვდი სარაგბო გარემოში. თავზე „კლერმონ-ოვერნის“ გასული სეზონის მორაგბეების შარფები დაგვყურებდა, რომელთა შორის დავით აშვეთიას და ლეონსიოს მოედნის მსგავსად მოწინავე ადგილები ეკავათ, მაგიდას კი ჩვენთან ერთად გოდერძი შველიძე, სამხრეთაფრიკელი შერკინების მეორეხაზელი ჰოტი ლოუ და ფიზიკური მომზადების სპეციალისტი პიტერ პ არდინვი უსხდნენ.*

*თუმცა ძალიან გაგვიგრძელდა სიტყვა და სჯობს თავად ჯონსს მოვუსმინოთ, რომელიც ძლიერ მორაგბესთან ერთად უშუალო პიროვნება და სასიამოვნო მოსაუბრეც გამოდგა*



— თავისთავად პირველი კითხვა ექვსი ერის პირველობას და თქვენს მიერ შესრულებულ დიდ სლემს შეეხება.

— უზომოდ კმაყოფილები და ბედნიერები ვართ. მითუმეტეს, რომ 2003 წელს ყველა თამაში წავაგეთ და ხის კოვზს გამოვკარით ხელი, შარშან კი მართალია შინ უკლებლივ გავისარჯეთ და მხოლოდ საფრანგეთთან დავთმეთ, მაგრამ სტუმრად ისევ ყველაფერი წავაგეთ.

— შენი აზრით, რა შეიცვალა გუნდში, რის ხარჯზე მიაღწიეთ ასეთ წარმატებას?

— შეიძლება ითქვას, ბევრი არც არაფერი შეცვლილა. თავისთავად ახალი მწვრთნელი, ახალზელანდიელი მაიკ რუდოკი ძლიერი სპეციალისტია, ისევე როგორც ფიზმომზადების მწვრთნელიც, მაგრამ სამაგიეროდ შემადგენლობა თითქმის იგივე გვყავს, რაც 2003 წელს. უბრალოდ, გაცილებით სერიოზულად მივუდექით საქმეს და ამ ხნის განმავლობაში ჩვენს თავზე ბევრი ვიმუშავეთ.

— ტაქტიკის მხრივ თუ არის რაიმე სიახლე?

— კი. ადრე ძირითადად ჯიქურ ვაწვებოდით მეტოქეს და ფიზიკური ჯანის ხარჯზე ვცდილობდით ფეის გასვლას (რომელიმე სხვა ნაკრებს ხომ არ გაგონებთ? გ.თ.), მაიკ რუდოკმა კი აქცენტი უკანა ხაზზე და ხელით თამაშზე გადაგვატანინა. ახლა ადრინდელზე გაცილებით მეტი პასის გაკეთებას ვცდილობთ და შედეგიც უკეთესია.

— 1978 წლის შემდეგ პირველად შეძლო უელსმა დიდი სლემის მოპოვება. მაშინ ერთი წლისაც არ იყავი. როგორ შეხვდა ხალხი ამ ხნის ნანატრ სიხარულს?

— ამის სიტყვებით გადმოცემა შეუძლებელია, იმ სიხარულის და ზეიმის მონაწილე უნდა ყოფილიყავი.

— ყველაფერი ინგლისთან გამარჯვებით დაიწყო.

— ჩვენ თავში საკმაოდ დარწმუნებულები ვიყავით და მინდორზე მოსაგებად გავედით. ნოემბრის ტესტების დროს სამხრეთ აფრიკასთან და ახალ ზელანდიასთან 1 და 2 ქულით წავაგეთ და ვიცოდით, რომ თავისუფლად შეგვეძლო დიდ გუნდებთან შერკინება.

— იმ თამაშში თქვენი დაცვა ფაქტობრივად უშეცდომოდ გაისარჯა...

— სხვანაირად ინგლისთან წარმატებაზე ფიქრიც კი შეუძლებელია, რაც შეიძლება ნაკლები შეცდომა დაცვაში და ქულების აღების ყველა შანსი უნდა გამოიყენო. ჩვენ ეს მოვახერხეთ და მოვიგეთ კიდეც.

— იტალიასთან იოლად იმარჯვეთ...

— არავითარ შემთხვევაში! შეიძლება მაყურებლისთვის ასე ჩანდეს, მაგრამ ექვსი ერის პირველობაზე იოლი თამაშები არაა, ყოველშემთხვევაში უელსის კრებისთვის და ჩემთვის.

— საფრანგეთში ორი განსხვავებული ტაიმი ითამაშეთ. შესვენებამდე მეტოქემ პირწმინდად დაგჩაგრათ და შენც რამდენიმე დარტყმა გააცუდე, მეორე ნახევარში კი ვითარების ბატონ-პატრონნი თქვენ იყავით. რა გითხრათ ასეთი რუდოკმა გასახდელში?

— არაფერი. შეცდომებზე მიგვითითა და გვთხოვა უფრო გაბედულად შეგვეტია. ასეც მოხდა, თუმცა უნდა ვაღიარო, რომ მეორე ლელოს გატანაში იღბალიც ჩვენს მხარეს იყო, თუმცა, ალბათ, მაინც დამსახურებულად გავიმარჯვეთ.

— გეთანხმები. ამ მოგების მერე თუ ირწმუნეთ რომ დიდი სლემი თქვენი ნადავლი გახდებოდა?

— არა, და იცი, რატომ? შოტლანდიაში გვქონდა სათამაშო, იქ კი ბოლოს როდის მოვიგეთ, აღარც კი მახსოვს. (1997 წელს, მანამდე კი 1987 წელს, გ.თ.). შოტლანდიის წაქცევის მერე კი თითქმის დარწმუნებული ვიყავით, დიდი სლემი ველარსად გაგვექცეოდა.

— და ასეც მოხდა.

— მიუხედავად იმისა, რომ ირლანდიასთან ექვსი დღის შემდეგ ვითამაშეთ და საშინლად დაღლილები ვიყავით, „მილენიუმის“ სტადიონზე თავშეყრილი და იქ ვერმოხვედრილი მაყურებლების მხარდაჭერით ამ დაღლილობას გადავაბიჯეთ. უდიდესი აჟიოტაჟი გამოიწვია ამ მატჩმა. კარდიფის ცენტრი გადაკეტილი იყო, 20 ათასზე მეტი ქომაგი სანახაობას სტადიონს გარეთ უზარმაზარ ეკრანზე ადევნებდა თვალს, თამაშის დასრულების შემდეგ კი რა ამბავიც იყო მთელ უელსში, თავად წარმოიდგინე.

— როგორ ფიქრობ, შეძლებს უელსის ნაკრები ამ დონეზე დარჩენას და ორი წლის შემდეგ მსოფლიოს თასზე მაღალი მიზნებისთვის ბრძოლას?

— ჯერ იქამდე შორია, მაგრამ ჩვენ ამისთვის ყველაფერს გავაკეთებთ, მანმადე კი ექვსი ერის კიდევ ერთხელ მოგებას და ტრადიციული ტესტების დროს ჩვენი ძალის დამტკიცებას შევეცდებით.

— შენ 10 ნომრით თამაშობ და არ შეიძლება არ გკითხო შენს სახელოვან წინამორბედზე, ნილ ჯენკინსზე. თავიდან მძიმე ხომ არ იყო ამ პოსტის დაკავება?

— რა თქმა უნდა. ნილის წასვლის შემდეგ რამდენიმეს გვქონდა პრეტენზია 10 ნომერზე და თავისი შანსი თითოეულს მიეცა. ჩემდა საბედნიეროდ მე ვიმარჯვე.

— ჯენკინსი მსოფლიოს რეკორდსმენია სანაკრებო ქულებით. მას უელსისა და ბრიტანელი ლომების სახელით 1000-ზე მეტი ქულა მოუხვეჭავს. მისი რეკორდის დამხობას არ ცდილობ?

— 400 ქულის ზღვარს ახლახან გადავაბიჯე და რეკორდამდე ძალიან შორია, თუმცა შეტევით ნაღდად შევუტევ.

— „კლერმონ-ოვერნში“ ამ სეზონის დასაწყისში გადმოხვედი. რატომ არჩიე საფრანგეთში თამაში?

— მთელი ჩემი კარიერის განმავლობაში ერთ გუნდში ვთამაშობდი და უელსს იქით არასდროს მიცხოვრია. სიახლის სურვილი მქონდა და თან აქაური რაგბიც მომწონდა თავისი შემტევი და სანტიმენტალური ხასიათით. ამიტომაც გადმოვედი აქ.

— სეზონის დასაწყისი საშინელი გქონდათ შენც და კლუბსაც...

— მართალი ხარ. ყველაფერი კატასტროფულად დაიწყო. პირველივე მატჩში მონპელიესთან ნოკაუტში აღმოვჩნდი და ტრავმის გამო დიდი ხანი ველარ ვითამაშე. თან გუნდიც არეული იყო მწვრთნელების ცვლით და კარგა ხანი გასავარდნთა რიგებში ვიყავით. თუმცა მერე ვითარება გამოსწორდა და ახლა უკვე ევროსაგზურზეც ვფიქრობთ.

— ბოლო 9 თამაშიდან 8 მოიგეთ, მათ შორის 7 ზედიზედ. ერთადერთ მარცხი შენი შვებულების დროს ბურგუენში, ჩემპიონატის ლიდერთან განიცადა „კლერმონ-ოვერნმა“. ასე დააკლდა შენი ფეხი?

— არა, რას ამბობ?! ყველაფერი ჩემს ფეხებზე კი არ ჰკიდია (გულიანადაც გადაიახარხარა). მომავალ ტურში „სტად ფრანსეს“ ვხვდებით და ვეცდებით გამოვასწოროთ ბურგუენული შეცდომა.

— სტეფან, ბოლოს მინდა ჩვენებურ მორაგბეებზე გკითხო აზრი. როგორ მოგწონან. თუ გინდა ჩუმად მითხარი, შველიძემ რომ ვერ გაიგონოს.

— დასამალი რაა. ალალად ვიტყვი, ძალიან ძლიერი მორაგბეები და მშვენიერი ადამიანები არიან. მართალია, ახალს (ზირაქაშვილი) ჯერ კარგად არ ვიცნობ, მაგრამ დავითი (აშვეთია) და, შენს გვერდით რომ ზის, თამამად შემიძლია ვთქვა, აქ ჩემი საუკეთესო მეგობრები არიან. ძალიან ვწუხვარ, რომ აშვეთიას ტრავმა ამდენი ხნით გაუმიზეზდა, მაგრამ იმედი მაქვს მალე საბოლოოდ გამოჯანსაღდება და ისევ დაგვეხმარება.

— გმადლობ, სტეფან და ჯენკინსის რეკორდის დამხობას გისურვებ.

*ჯონსმა კი ისურვა დავით აშვეთიას მალე გამოჯანმრთელება და დახმარება, მაგრამ სურვილი ალბათ მხოლოდ სანახევროდ აუხდება. დავითი ახლა გაცილებით უკეთაა და მალე თამაშსაც ძველებურად შეძლებს, მაგრამ სავარაუდოდ იგი სეზონის ბოლოს კლერმონ-ფერანს დატოვებს, რაც ნამდვილად საგრძნობი დანაკლისი იქნება „კლერმონ-ოვერნისთვის“.*





# ყველაზე სპორტული პაპი

**განსვენებული** რომის პაპი იოანე პავლე II ცხოვრებაშივე განთქმული გახლდათ ქველი საქმეებით და ჩვენი დროის აწეწილ მსოფლიოში მშვიდობის პროპაგანდით. ამის გამო დიდადაც აფასებდნენ არა მხოლოდ მორწმუნენი, არამედ რელიგიასთან შორს მდგომი ადამიანებიც. პატივს სცემდნენ სპორტსმენებიც, რომელთაც პაპი ყოველთვის თბილად იღებდა და ლოცვა-კურთხევას არ აკლებდა.

არავისთვისაა საიდუმლო, რომ ახალგაზრდობაში კარლ ვოიტილა, აქტიური ფეხბურთელი იყო. პატარა პოლონური ქალაქის, ვადოვიცეს გუნდის მეკარე გახლდათ, მეტსახელად „ლოლეკი". თუმც ბევრმა დღემდე არ იცის, რომ კათოლიკური ეკლესიის მთავრად კურთხევის შემდეგაც ანუ ბოლო 27 წელიწადში ის არ ივიწყებდა სპორტს და სანამ შეეძლო, აქტიურად მისდევდა არაერთ სახეობას — მაგალითად, სამთო თხილამურობას, ცურვასა და კაიაკით ნაოსნობას. ამის გამო იგი ვატიკანის ისტორიაში შევა, როგორც ყველაზე სპორტული პაპი.



იოანე პავლე II და „ჰარლემ გლობტროტერზი"

„ის გახლდათ „მოურჯულებელი" სპორტსმენი — ამბობს პაპის ბიოგრაფი ჯორჯ ვეიგელი — კურთხევის პირველივე წელს საზაფხულო რეზიდენციაში, კასტელ გონდოლფოში საცურაო აუზი ააშენა და 2002 წლამდე ხშირადაც ცურავდა. პირველი თხუთმეტი წლის განმავლობაში კი რეგულარულად დადიოდა იტალიის ალპებში სათხილამუროდ და საოცარი ისაა, რომ იტალიელ პაპარაცებს მისგან შორს ეჭირათ თავი. ამიტომაცაა ეს ამბავი ნაკლებად გახმაურებული".

„ისევე, როგორც პაპად კურთხევის შემდეგ, მანამდეც აქტიური მოსიარულე იყო — მოგვითხრობს მისი ახალგაზრდობისდროინდელი პოლონელი მეგობარი იერჟი კლუგერი — ზამთარ-ზაფხულ დავდიოდით მთებში. პოლონეთში გრძელი ზამთარი იცის, ჩვენც ავიღებდით თხილამურებს და მთებში 3, 4, 5 საათით მივდიოდით, იქიდან კი შვიდ წუთში ვეშვებოდით. ზაფხულობით მთის მდინარეებზე კაიაკებით ვეშვებოდით. სხვა გადარეული მთიელი [illegible] ვით. ფეხბურთელი რომ იყო, ეს ამბავი, მგონი, [illegible]".

უკვე ასაკოვან [illegible] ბოლო წლებში აღარ შეეძლო ამგვარი აქტიურობა, თუმც ის ყოველთვის გულღიად ხვდებოდა სპორტსმენებს დაწყებული იტალიის ნაკრებებით და [illegible] ბული მუჰამედ [illegible] ბურთით (ცნობ. „ჰარლემ გლობტროტერზის" [illegible] ბოლოს, ამ იანვარს [illegible] მსოფლიოს [illegible] მიხაელ შუმახერს და მის გუნდ „ფერარის."

„ბავშვები და [illegible] მთელ მსოფლიოში [illegible] თბოს და სიყვარულს [illegible] იოანე პავლე მეორის [illegible] — ამბობს იტალიის ფეხბურთის ფედერაციის პრეზიდენტი ფრანკო კარარო — მისი ხსოვნა და [illegible] რული ყველას გულებში [illegible] ბაში სამარადჟამოდ დარჩება".

**კოტე ყორშია**

---

## ველორბოლა



AFP

# ველო, ღვინო, ბასკები

**4 აპრილს** ბასკონიის მომცრო ქალაქ სარაუცში დაიწყო ველოსეზონის პირველი მეტ-ნაკლებად სერიოზული ველოტური, რომელსაც ბასკები „იცულიას" უწოდებენ, ესპანელები „ვუელტა ა პაის ვასკოს", დანარჩენი მსოფლიო კი ბასკთა ქვეყნის ტურად მოიხსენიებს. ტური ხუთდღიანი და ექვსეტაპიანია და თავისთავად ვერ დაუდგება გვერდით არათუ „ტურ დე ფრანსს", არამედ იტალიურ „ჯიროსა" და ესპანურ „ვუელტას". თუმც აქ ყოველთვის ივარჯიშებდნენ ფეხებს ცნობილი სპორტსმენები, თუნდაც ტომი რომინგერი, ალექს ცელე, ანდრეას კლოედენი, რაიმონდას რუმსასი, იბან მაიო და ბევრიც სხვა და ბასკეთის ველომხედართა ლაშქარში წლეულსაც არაერთი სახელიანი მრბოლი ურევია.

ამ ველოტურსაც, ისევე როგორც ევროპის სხვა ანალოგიურ საშუალო გაქანების შეჯიბრს, ძირითადად სავარჯიშო დატვირთვა აქვს დიდრონი ტიტულების მაძიებელთათვის. „ჯირომდე" ერთი თვეა დარჩენილი და ზამთრის ძილიდან გამოსული ველოქარავანიც ასეთ რაშდენიმედღიან გზაზე ხურდება. ბასკური ტური თავისთავად მეტ მნიშვნელობას იძენს მასპინძელი ბასკებისთვის, თუმც არცთუ რთულ მარშრუტზე პირველობისთვის მაინდამაინც თავს არც ისინი იკლავენ. ამ შეჯიბრს მშვენიერი ადგილობრივი ღვინის ოხშივარიც აჰყვება ხოლმე, რაკიღა ყოველი საფინიშო ქალაქი პურმარილით და სავსე ჭიქებით ხვდება 150-კილომეტრიანი და წვრილგორაკიანი იოლი გზის გამლევ 200-მხედრიან ველოქარავანს. ოდესღაც თურმე სპორტსმენებთან ერთად სიამოვნებით მოილხენდა ჩვენი სტუმარი ერნესტ ჰემინგუეიო, ხალისით ამბობენ ბასკები.

ღვინო და დუდუკი იქით იყოს (ხანდახან აქეთაც) და, ბასკეთის ველოტურს საკმაოდ მდიდარი ტრადიცია აქვს — პირველად 1934 წელს ჩატარდა, სულ კი ველომრბოლებს ბასკთა ქვეყნისთვის მხოლოდ 44-ჯერ შემოუვლიათ, რაკიღა ამ დამოუკიდებლობისთვის მებრძოლ პროვინციას — თავს დღემდე ბასკთა ქვეყანას რომ უწოდებს — და იქაურ სპორტს ხშირად ავიწროებდნენ ესპანეთის დიქტატორები თუ პრემიერმინისტრები. თავისთავად ველოსიპედისთვის არც მეორე მსოფლიო ომის დროს სცხელოდათ.

ბასკეთის 45 ტური წლეულს ქვეყნის ოთხივე რეგიონს მოივლის — გიპუსკოას, ბისკაიას, არაბას და ნავარას. ორმა ტურმა უკვე ჩაიარა და საერთო ჩათვლას ჯერჯერობით ლიდერობს ესპანელი აიტორ ოსა, თუმცა კი მას ამ ორი ეტაპიდან ერთიც არ მოუგია. სარაუციდან ლა ლეხანამდე გაჭიმულ 166-კილომეტრიან გზატკეცილზე იგი მეორე იყო და მხოლოდ წამით ანუ ერთი ველოსიპედის ტანით ჩამორჩა ეტაპის ფრანგ გამარჯვებულ დევიდ მონკუტიეს. რაკი გზა ჯერ კიდევ სწორზე მიდის და დიდი მთები და უღელტეხილები არ გამოჩენილან, ლიდერებს შორის არცთუ დიდი სხვაობაა და ნაადრევია ვინმეს დაწინაურებაზე საუბარი. ოსას საერთო ჩათვლაში სულ რაღაც ორი წამით ჩამორჩება იტალიელი დანილო დი ლუკა და სხვებიც ბორბალზე ასხედან. შარშანდელი „ჯირო დიტალიის" ჩემპიონ დამიანო კუნეგოს საერთო ჩათვლაში დღევანდელი მეხუთე ადგილი სულაც არ აშფოთებს, ის მხოლოდ 5 წამით ჩამორჩება ლიდერს. ხოლო ბასკეთის ტურის 2004 წლის ჩემპიონი და საერთოდაც ველოსპორტში ცნობილი სახელი, რუსი დენის მენშოვი აიტორ ოსას ექვსი წამით ჩამორჩება და მეშვიდეა.

**კოტე ყორშია**

---

## სინქრონული ცურვა

# რუსის დაკრულზე კანადელები იცეკვებენ

**ერთ დროს** კანადელი სინქრონული ცურვის ოსტატები [illegible] უძლიერესნი იყვნენ მთელ მსოფლიოში, მაგრამ შემდეგ [illegible] თანდათან დათმეს. მდგომარეობის გამოსასწორებლად მათ ახლა რუს ქორეოგრაფ მარია მაქსიმოვას უხმეს, რომელიც ერთ დროს [illegible] სწავლობდა კანადელთაგან. ასეა თუ ისე, ახლა კანადელები იმედოვნებენ, ამ მოსკოველი სპეციალისტის დახმარებით 17-31 ივლისამდე მონრეალში გასამართ მსოფლიოს ჩემპიონატზე საპრიზო ადგილს მოიპოვებენ.

კანადელთა ნაკრები მონრეალის ახლ საწვრთნელ ცენტრში ემზადება, რომელიც ამ ორიოდე კვირის წინათ გაიხსნა.

— ვიმედოვნებთ, რომ ქალბატონ მაქსიმოვასთან მუშაობით ჩვენი გუნდი ახალ სიმაღლეს დაიპყრობს — თქვა კანადელი სინქრონული ოსტატების მთავარმა მწვრთნელმა იზაბელ ტეიონმა.

---

## მძლეოსნობა

# ირბინე ბაბუ, ირბინე

**100-მეტრიან** დისტანციაზე რბენაში მსოფლიოს რეკორდი 30,86 წამია. რაც წაიკითხეთ, არც ხუმრობაა და არც შეცდომა. საქმე ეხება რეკორდს, რომელიც მსოფლიოს ხანდაზმულ ადამიანთა შორის ასაკზე ზობაში ფიქსირდება.

მიღწევა სამხრეთაფრიკელ მოხუცს, ფილიპ რაბინოვიჩს ეკუთვნის. რაბინოვიჩი გინესის რეკორდების წიგნშიც კი არის შესული იმის გამო, რომ სპორტულ სიარულში გამართულ ასპარეზობათა ყველაზე ხნიერ და ყველაზე მოხუც მონაწილედ ითვლება.

რაბინოვიჩის რეკორდის დამხობას ჩინელი ჰო ცაი ჩუუ ეშურება. მალე ჩინეთში, ეროვნული სპორტული შეჯიბრებები გაიმართება. ასეთი ტურნირი უკვე მეათედ ტარდება და ჩუუც ჩირალდნის ერთ-ერთ მატარებლად აურჩევიათ, თუმცა ამით არ შემოიფარგლება მისი მონაწილეობა ამ ტურნირში. მოხუცი 100-მეტრიან დისტანციაზე გარბენას და გამარჯვებას აპირებს, სადაც, რა თქმა უნდა, ხანდაზმულებს შეეჯიბრება.

სხვათა შორის, გეტყვით, რომ ჰო ცაი ჩუუ 105 წლისაა.

ბაბუც ასეთი უნდა!..

**ლადო ფულუკიძე**



# 800 მეტრზე

კეიტ ზიგლერმა მოიგო ამერიკის 2005 წლის ჩემპიონატის 800 მეტრზე ცურვა. ჩემპიონატი ინდიანას უნივერსიტეტის აუზში მიმდინარეობდა. გოგოს გამარჯვებისთვის 8 წუთი და 34.83 წამი დასჭირდა.



AFP ინდიანაპოლისიდან




## მზადება

AFP ვალენსიიდან

ამერიკის თასისთვის ემზადება ესპანელი შკიპერი სანტი ლოპეს ვასკესი. ის თავის „იბერდროლას“ ვალენსიის ახლო წყლებში დაატარებს და ატარებს.



# ცეკვა მალაიზიაში

კუალა ლუმპურში სპორტული ცეკვების დიდი და ვუმრიული შეჯიბრი მიმდინარეობს. 20 ქვეყნის ასი წყვილი ერთმანეთს ეჯიბრება ვალსის, ჩა ჩა ჩას, რუმბას, სამბასა და სხვა ცეკვებში. ეს პოლონური წყვილია: იანა პოვროვსკაია და პრჟემეკ ლოვიცკი: ლათინური ცეკვების ფინალში გასულან.






# ბეილორის გოგოები

ამერიკელ სტუდენტ ქალთა ახალი ჩემპიონი ბეილორის უნივერსიტეტია: იქაურმა გოგონებმა ფინალში მიჩიგანელები დაამარცხეს 84-82 და იხარეს კიდეც. ბრძოლა მძიმე იყო, ინდიანაპოლისში შეყრილი ქომაგები გმინავდნენ.

სარბიელი
სპორტული გაზეთი
გამოიცემა 1990 წლის 28 დეკემბრიდან
გამოდის ორშაბათს, სამშაბათს, ოთხშაბათს, ხუთშაბათს, პარასკევს და შაბათს

გამომცემელი ზურაბ ფოცხვერია
დირექტორი გიორგი ოქროპირიძე
მთავარი რედაქტორი ილია ბაბუნაშვილი
რედაქტორი თამაზ მიგრიაული
პასუხისმგებელი რედაქტორი ავთანდილ გურასაშვილი
ტექნიკური რედაქტორი მამუკა გუბელაძე
ქართული ფეხბურთის რედაქცია: დავით თავართქილაძე, კობა ინასარიძე, ილია ნასიბაშვილი, კახა შალამბერიძე
უცხოური ფეხბურთის რედაქცია: გია ახვლედიანი, გიორგი დარჯანია, გიორგი ვაშაკიძე, სოსო კოტორაშვილი, ლადო ხომერიკი, ვაკო ხუციშვილი

ინფორმაციის რედაქციის რედაქტორი: ირაკლი ფირაშვილი
ინფორმაციის რედაქცია: გია ახალაძე, ლევან კილაურიძე, თამარ მელიქიძე, ირაკლი პერტაია
ფოტორეპორტიორები: გურამ დოლენჯაშვილი, ბადრი კუიმლაძე
სტილისტები: ნათელა გიორგობიანი, ლალი გოზალიშვილი
კომპიუტერული ცენტრი: ლია ბეჟელია, ხათუნა ბუხურაშვილი, ელენე გელუტაშვილი, რუსუდან ერისთავი, ფატი დვალიშვილი, მაკა დოგრაშვილი, ზვიად მისაშვილი, თენგიზ ფიფხაძე, თამარ ქინქლაძე, ზურაბ წერეთელი

რედაქციის მისამართი:
თბილისი, ალექსანდრე ყაზბეგის გამზირი 42. II კორპუსი, IV სართული
საფოსტო მისამართი:
თბილისი – 79, საფოსტო ყუთი 208. ტელეფონი: 39 48 29
ელექტრონული ფოსტა
sarbieli@gol.ge
ელექტრონული ვერსია
http://www.sarbieli.com.ge